

საქართველოს მთაბე

№ 4

22 ნოემბერი.

კვირეული საზოგადოებრივი, სამეც. ზ. სალიტ. ჟურნალი

1909 წ.

ჩვენ და ცხოვრება

მგონია, ამ ჟამად ყველა ჩვენგანი—ზოგი შეგნებულად, ზოგი გამოურკვევლად მაინც—გრძნობს, რომ ჩვენ, ქართველები, თანამედროვე ცხოვრებას როგორღაც დაშორებულნი ვართ, რომ ჩვენსა და ახლანდელ ცხოვრებას შორის, ნაცვლად ორგანიზულ კავშირისა, რაღაც განხეთქილება, შეუწყობლობა და შეუწყობლობა არსებობს, რომ, ერთის სიტყვით, ახლანდელი ცხოვრება და ჩვენ—ასე ვთქვათ—ერთმანეთისგან გათიშულნი, განცალკევებულნი ვართ: ცხოვრება თავის გზით მიდის, ხოლო ჩვენ, თითქო აქ გასართობი თამაში არისო, დინჯად შორიდან ვუტკებრით და თვით ცხოვრების პროცესში, ამ დროის პირობების შესაფერად, ვერაფერს ვერ ვიღებთ.

ასეთი მდგომარეობა—დღეს მაინც—ისეთი ცხადი ფაქტია, ისე ადვილი დასაანახია, რომ არა მგონია, იგი ვინმეს კიდევ საეჭვოდ და საკამათოდ მიაჩნდეს. თვითონ ჩვენ ასე თუ ისე შეჩვეულნი ვართ ამ მდგომარეობას და ისე თვალში არ გვეცემა და არ გვეუცხოვება, როგორც გარეშეს, ჩვენი ცხოვრების ახლად გამცნობს უცხოელს. ამიტომაც ყველა უცხოელ სტუმრებს, რომელთაც ამ ბოლო დროს ჩვენზე რამე დაუწერიათ, პირველად ეს ფაქტი აღუნიშნავთ ჩვენს შესახებ. მათ ნაწერებში თუმცა სიტყვა-სიტყვით არ არის ნათქვამი, მაგრამ აზრით კი პირდაპირ გამომდინარეობს შემდეგი მსჯავრი: „დღეს თქვენ სტუმრები ხართ თქვენს ქვეყანაში“!

უეჭვლია, მსჯავრი სასტიკი არის და ჩვენთვის მეტის მეტად დამაღონებელი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მოკლედ და მკაფიოდ ახასიათებს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას, და თუ—ღვთის მადლით ჯერ კიდევ სავესებით სიმართლედ ვერ ჩაითვლება, ყოველ შემთხვევაში ჭეშმარიტებას მაინც ძალიან უახლოვდება.

ვინც ჩაფიქრებით გაითვალისწინებს ჩვენს ახლანდელ ყოფა-მდგომარეობას, ჩაუკვირდება მის აკარგიანობას და წარმოიდგენს ჩვენი ეკონომიურ ცხოვრების სურათს,—უეჭველად დაახლოვებით იმგვარსავე „სტუმრის გრძნობას“ განიცდის, როგორსაც, მაგალითად, გერმანიასა და საფრანგეთში მგზავრად მისული ქართველი: ეს იქ იპოვის დიდს ნივთიერ კულტურას, ნახავს, რომ ნაყოფი ხალხის ეკონომიურ შემოქმედებისა აუზომელია, მაგრამ ამასთანავე იგრძნობს, რომ თვითონ მას ყველა ამაში წილი არ უდევს, რომ იგი მხოლოდ სტუმარია და არაფრით დაკავშირებული არ არის ამ ნივთიერ კულტურასთან. ჩვენშიაც, სამწუხაროდ, მსგავსი გრძნობა აღეძვრის ქართველ ადამიანს: ახალი დროის ნივთიერ კულტურის მხრით ჩვენი მხარეც არ არის ველური ქვეყანა, აქაც არის ვაჭრობა, მრეწველობა, მანქანები, ქალაქები, სახლები და სასახლეებიც, რკინის გზა, ტელეგრაფი, ტელეფონი, ავტომობილებიც კი, მაგრამ ყველა ამაში ქართველს მცირე ნაწილი უდევს,—ამ ნივთიერ კულტურის პატრონობის საქმეში, და იგი უფრო „სტუმარია“, ვიდრე მასპინძელი, უფრო უცხო და გარეშეა, ვიდრე შინაური.

ჩემი აზრით, ქართველობის ეკონომიური მდგომარეობა დღეს ისეთ დონეზეა და იმგვარს გარემოებაში არის მოქცეული, რომ იგი საერთოდ ჩვენი ხალხოსნურ არსებობის უპირველესსა და უმთავრეს საკითხს შეადგენს. ამიტომ ჩვენის მხრით ამ საგანზე ფიქრი და ზრუნვა ყველა სხვა ფიქრსა და ზრუნვას უნდა სჭარბობდეს და ჩრდილავდეს, თუ გვინდა, რომ გამოვფხიზლდეთ და ახლანდელ მდგომარეობას თავი დავაღწიოთ. ეს ისეთი რთული და დიდმნიშვნელოვანი საკითხია, რომ რამდენიც უნდა ითქვას და დაიწეროს ჩვენში იმის შესახებ, მაინც მოჭარბებულად და უსარგებლოდ ვერ ჩაითვლება, თუ, რასაკვირველია, თვით ნათქვამსა და ნაწერს ცოტადენად მაინც სალი აზრი აქვს და პრაქტიკულ მოთხოვნების შეგნების ნიშანწყალი ახლავს.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არ კმარა მარტო ჩივილი და არც მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ჩვენ ღარიბები ვართ: ჩვენი სიღარიბე უკვე ვიცით დიდი ხანია. და ქართველობის ეკონომიურ საკითხის მთავარი მხარე ის კი არ არის, რომ ჩვენ ღარიბები ვართ,—ეს დღეს ყველასთვის ცხადია,—არამედ ის, თუ რატომ ვართ ღარიბები,—ღარიბები არა როგორც კერძო ადამიანები ან სოციალური კლასები, არამედ როგორც ხალხი, როგორც ეთნოგრაფიული ანუ ნაციონალური ერთეული.

ჩვენსა და ცხოვრება—**ზ. გოგიანიშვილი**; ჩვენი თეატრი და სცენა—**მ. მინდიაშვილი**; ჰაი გიდი, მეგობრებო—**ალ. არაბული**; ობოლი, ლექსი—**ი. მხედლიანი**; ჩვენი პრესა;—**ს. სიციხელის ზღვაზე**, ლექსი—**ბ. ბილინიანი**; მოკლე მიმოხილვა ქართულ მწველობისა—**ი. მარტაბაშვილი**; ერის უფლება—**Baton-ისა**: წერილი რედაქციის მიმართ—**ი. გოგიანიშვილი**;



ული, — და როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ჩვენს საერთო ეკონომიურ სიბეჭავს.

ჩვენს ეკონომიურ სისუსტეს მრავალ გვარი მიზეზი და საფუძველი აქვს, მაგრამ თუ მათ საერთაოდ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ თითქმის ყველა ამ კერძო მიზეზებს ერთი მთავარი, ფართო შინაარსისა და უფრო ზოგადი მნიშვნელობის გარემოება შეიცავს. ეს გარემოება არის შემდეგი: ქართველობა, თავის პრაქტიკულ საქმიანობითა და შინაგან პსიხიკით, დღესაც ვერ შესწყობია და ვერ შეჭვუბნა თანამედროვე მოქალაქობრივ ანუ კაპიტალისტურ ცხოვრების აზრსა და მოთხოვნილებას. წესი ჩვენი საქმიანობისა და ხასიათი პსიხიკისა იმ გვარია, რომ სრულებით არ შეესაბამება კაპიტალისტურ დროის არც საქმიანობასა და არც პსიხიკას.

მართლაც, აბა დავაკვირდით ჩვენს ცხოვრებას, იმედი უნდა გვქონდეს, ანუ ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ შეამჩნიოთ, რომ ჩვენ მარტოოდენ ფეხის ათრევით ვჯავღავდებით იმ უღელ ქვეშ, რომელსაც კაპიტალისტური ცხოვრების ცივი მოთხოვნილება ჰქვია. როგორც ყველამ იცის, ხალხის მთელი ეკონომიური საქმიანობა სამ მთავარ დარგად განაწილდება. ეს არის: სასოფლო მეურნეობა, მრეწველობა და ვაჭრობა. კაპიტალისტურის საზომითა და ანგარიშით, თითოეულ ამ დარგს, როგორც საზოგადოდ ადამიანის ყოველგვარ სამეურნეო საქმიანობას, იმდენად აქვს ფასი და ღირებულება, რამდენადაც იგი სარგებელს ანუ მოგებას იძლევა. ხოლო ეს მოგება მაშინ ახლავს ეკონომიურ საქმიანობას, როცა ამ საქმიანობას წარმოების გაუმჯობესებელი ტენიკა უდევს საფუძვლად, როცა შრომა შესაფერის ცოდნითა და ნივთიერის მოწყობილობით არის განაყოფიერებული, როცა წარმოება ბაზრის მოთხოვნილებასთანაა შეთანხმებული.

ჩვენში კი რას ვხედავთ? სასოფლო მეურნეობა დღესაც თითქმის უცვლელად იმ წესით სწარმოებს, როგორც ასისა და ორასი წლის წინად: ქართველ სოფელსთვის თითქო არ არსებობს არც ტენიკის განვითარება, არც ბაზრის ცვალებადობა; მრეწველობა, თუ კი რაიმე ქართული მრეწველობა მოიპოვება, ხელოსნობის საფეხურს ვერ გასცილებია; ხოლო ქართული ვაჭრობა უფრო გარეშე კაპიტალის ნასუფრალის ამკრეფია, ვიდრე დამოუკიდებელი დარგი და ადგილობრივი აღებმიცემობის იარაღი.

ეს კიდევ არაფერი. სხვა ხალხებშიაც, როცა მათში ეკონომიურ მოთხოვნილებათა ცვლილება უცხო ქვეყნის გავლენით მომხდარა, ადგილობრივი ეკონომიური ცხოვრება უცებ და სავსებით ვერ შეჭვუბნა ახალ წესსა და მოთხოვნილებას. ამიტომ ამგვარივე მოვლენა ჩვენშიაც თავად თავად დიდი დარდისა და ზრუნვის აღმძვრელი არ უნდა

იყოს. მაგრამ საქმე ის არის, რომ სხვა ხალხებში ხსენებული შეგუება თუ უცებ არა, ნელ-ნელა მაინც უეჭველად მომხდარა; ჩვენში კი, საუბედუროდ, ამის ნიშნებს ვერ ვხედავთ, და ჩვენის მხრით უმთავრესი ყურადღების ღირსი საგანი სწორედ ეს მოვლენა გახლავთ.

ვერც ერთი დარგი სახალხო მეურნეობისა ვერ გაიზრდება და ვერ განვითარდება, თუ იმ დარგის ასპარეზს მუდამ ახალი ენერჯია, ახალი მომქმედი ძალა არ ემატება, თუ ძველ მწარმოებელთა ადგილს იქ მეტის ცოდნითა და ძალოვნით აღჭურვილი ახალთაობა არ იქნება. ჩვენში კი მეურნეობის ყოველი დარგი არა თუ სუსტი და ჩამორჩენილია ტენიკურად და განუვითარებელი ეკონომიურად, — დრო და ჟამის განმავლობაშიაც მას ახალი პროგრესიული ელემენტი არ ემატება და ამით შინაგანი ნაყოფიერობა არ უდიდდება.

რომელ წრესაც უნდა ეკუთვნოდეს ქართველი, თავის ხელობითა ან ქონებრივის მდგომარეობით, მისი დამახასიათებელი მისწრაფება ის არის, რომ თავისი შთამომავლობა ახლანდელ მის წრესა და მოქმედების ასპარეზის ფარგალში არ დაურჩეს. ყოველი სოფლის მეურნე გლეხიც კი, რომელიც შვილის სწავლებას შეუდგება, იმ აზრით არის გამსჭვალული, რომ თავისი მემკვიდრე მეურნეობას მოაშოროს და უეჭველად „თავისუფალ ნასწავლ კაცად“ გამოზარდოს. ყოველი ქართველი მემამულე იმის ცდაშია, რომ როგორმე შვილი მამულის მოვლა-წარმოების საქმეში არ დასტოვოს, როგორმე კლასიკურ განათლების სასწავლებელში გაატაროს და „ჩინოვნიკად“ ან თავისუფალ „ინტელიგენტად“ აქციოს. ვაჭარიც კი, რომელიც უფრო პრაქტიკული კაცი უნდა იყოს, თავის შვილებს გიმნაზიებსა და ზავედენიებში აგზავნის და პრაქტიკულ-ეკონომიურ სარბიელს სამუდამოდ აშორებს. ყოველი ქართველი დედა იმას ნატრობს, რომ თავისი ქალი გიმნაზიაში ან პროგიმნაზიაში მაინც მიაბაროს. ერთის სიტყვით, ყველა ქართველს ეს ერთი მისწრაფება აერთებს, — დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობას შვილები უეჭველად მოაშოროს და „სამსახურის“ ხალხად აქციოს.

ეს მისწრაფება რაღაც მოარულივით აქვს დღეს მოდებული მთელს ჩვენს საზოგადოებას. თითქმის თვე ისე არ გაივლის, რომ რომელიმე სოფელმა ან დაბამ თხოვნების წერა და ფულის მოგროვება არ დაიწყოს გიმნაზიისა ან პროგიმნაზიის დასაარსებლად. დიდი და პატარა, შეძლებული და შეუძლებელი, — ყველანი სწორედ ისეთი სწავლის სიყვარულს შევუბყვრივართ, რომელიც ეკონომიურ წარმოებისა და აღებ-მიცემობის საქმეში გროშად მოსახმარი არ არის.

რასაკვირველია, ამგვარ მისწრაფებასაც თავისი მიზეზები აქვს, რომლებსაც თავის დროზე კი-



დღე მოვიხსენიებთ. მაგრამ აქ ჩვენთვის მარტოდენ ფაქტის აღნიშვნა არის საკმარისი, ფაქტი კი ამას ამბობს: ახალი პროგრესიული ძალა არ ემატება ჩვენს სახალხო მეურნეობას. ეკონომიურ საქმიანობას, ე. ი. სასოფლო მეურნეობას, ვაჭრობას და მრეწველობას ქართველებში ეწევა ის ელემენტი, რომელსაც აკლია ახლანდელ ეკონომიურ ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაფერი სწავლა-განათლება და მხოლოდ ტრადიციითა და თავის მცირე შინაურულ გამოცდილებით შეუძლიან ცოტადენი თაოსნობა და პრაქტიკული მოქმედება. ახალგაზდობა კი, რომელიც სასწავლებლებში შედის, იმგვარ გზას ადგება, რომ პრაქტიკულ ცხოვრებას სამუდამოდ სწყდება და შორდება.

ის სწავლა-განათლება, რომლისკენაც მიიღტვის დღეს ქართველ ახალგაზდობის დიდძალი უმრავლესობა, არის უმთავრესად თეორიულ ხასიათისა და პრაქტიკულად გამოსადეგია მარტოდენ სამსახურისა ან ესრედ წოდებულ „თავისუფალ პროფესიისათვის“. ამგვარ ცოდნა-განათლების ხალხს (ჩინოვნიკს, ექიმს, ვეჟილს, სოციოლოგს, ისტორიკოსს, ფილოლოგს, ფილოსოფოსს და სხვ.) პირდაპირი კავშირი სრულებით არ აქვს სახალხო მეურნეობასთან. ყველა უსუნო უფრო კალმისა და ლაპარაკის ხალხია, უფრო მწიგნობარია, ვიდრე პრაქტიკულად მომქმედი და ეკონომიურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიმღები. მათი საქმე არაა დამოუკიდებელი საქმიანობა არც სასოფლო მეურნეობაში, არც ვაჭრობასა და მრეწველობაში. ამისთვის მათ არ აქვთ არც შესაფერი მომზადება და არც სულიერი მისწრაფება. ერთის სიტყვით, ეს არის სამსახურის ხალხი როგორც მომზადებით ისე პსიხიკით.

ასეთი სულიერი განწყობილება დამახასიათებელია არა მარტო ქართველ ინტელიგენციის იმ

ნაწილისა, რომელსაც უმთავრესად სამსახურისთვის გამოსადეგი მომზადება მიუღია; არა, იგივე არის თვისება უფრო პრაქტიკულად გამოსადეგ ცოდნის მქონებელ ქართველებისაც. ქართველი ახალგაზდა სამე უცხოეთში სწავლას ასრულებს სამეურნეო სასწავლებელში და ჩვენში რომ დაბრუნდება, დამოქნაში ეძებს თავისთვის სამსახურს; ქართველი ტექნიკოსი ან ინჟინერი გრამატიკის მასწავლებლობას იწყებს, ან და სახაზინო პალატაში საქმის მწარმოებლის ადგილს თხოულობს. და ასე, მთელი ქართველი ინტელიგენცია, ზოგადი განათლებისა და პრაქტიკული ცოდნისაც, ეძებს და ეტრფის სამსახურს და მხოლოდ სამსახურს. ჯამაგიჩიანი სამსახური ახალგაზდობაში და მცირე პენსია მოხუცებაში—აი ეს არის მისი მატერიალური იდეალი ცხოვრებაში.

და ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება წარმატებაში ვერ მიდის? პირიქით, წინააღმდეგი მოვლენა იქნებოდა სწორედ გასაკვირი. აბა როგორ უნდა განვითარდეს ქართველობაში ახალი დროის რთული მეურნეობა ღნაყოფიერი ეკონომიური საქმიანობა, როცა ამის საჭაროება ვერც გონებრივად და ვერც სულიერად ჩვენ ჯერ ვერ შეგვითვისებია. ქართველობის საზოგადოებრივი აზროვნება, სულიერი გრძნობიერება, ჩვეულება და მოქმედება უმრავლეს შემთხვევაში ძირიანად ეწინააღმდეგება ეხლანდელ ცხოვრების აზრსა და მოთხოვნილებას.

აღნუსხვა და განმარტება ჩვენი ცხოვრების იმ ფაქტებისა, რომლებიც ამ ზოგად დახასიათების მაჩვენებელი და დამამტკიცებელია, ბევრის მხრით საინტერესო და საგულისხმიერო არის. აქედანვე გამომდინარეობს ბევრი ისეთი დასკვნა, რომელსაც ჩვენთვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ფ. გოგიჩაიშვილი.



შავს ზღვასთან.

ს ო ნ ე ტ ი.



ზღვა ბობოქრობდა... ქაფს ღმუილით მალლა ისვროდა;
 გაღმა ნაპირი შავის ღრუბლით იბურებოდა;
 მკრთალი ფირფატი სადღაც კლდეში მიმაღულიყო;
 ხმა ქუხილისა ტალღის ღრიალს უერთდებოდა.
 ზვირთი-მთა-გორა მოგორავდა ფაფარ აშლილი...
 ნაპირს ებრძოდა... ჩემს ფერხთა წინ სხივზედ ელავდა;
 გულხელდაკრეფით ჩათხრობილი ვიდექ მდუმარე,
 მაგრამ ნორჩ გულში ჩემს მტანჯველად გრძნობა ჰღელავდა!

ოპ, ნეტა იმ დროს შემეწყვიტა ფიქრი მქეჯნავი და მივცემოდი, ვით სალი კლდე, თავდავიწყებას; ასული ზღვისა მომხიბვლელი თვისკენ მიწვევდა, მსუბუქი ქათვი ჩრდილოს ჰფენდა ნათელ ხატებას. — მენავევ, ჩქარა!...—ნავში ჩავჯექ, მივყე კვალ და კვალ, მაგრამ ვერ მივწვდი მოციმციმეს ჩემს ნაზს ოცნებას!...

ბათუმი

მ. მანიაშვილი



ჩვენნი თეატრი და სცენა.

ვინც ჩვენს ცხოვრებას თვალყურს ადევნებს და მის მაჯის ცემას დაჰკვირვებია, დაგვეთანხმება, რომ ამ ჟამად ქართული თეატრი და სცენა განიცდის დიდს კრიზისს...

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეგ კრიზისი თავდაპირველად მოწმობს თეატრის დაავადყოფებას დემ სცენის დაუძღურებას, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამავდროს ეკ კრიზისი სანუგეშო ნიშნებს იძლევა იმისას, რომ ავადყოფობა არც ისე საშიშია. ყოველ შემთხვევაში დაუძღურების ხანა უკეთესობაში გადადის და თეატრს განსაცდელი სულაც არ მოელოს მომავალში, თუ კვ, რა თქმა უნდა, ავადყოფს შესაფერი მოვლა და პატრონობა არ მოაკლდება.

ყველამ უწყის, რომ მთავარი მიზეზი ჩვენის თეატრის და სცენის დაუძღურებისა იყო და არის ქონებრივი უსახსრობა და ეკონომიური მოუწყობლობა თეატრის მუშაკთა. შეუძლებელია დამშეულ კაცს მოსთხოვო სიმკვირცხლე და გამძლეობა მამდრისა. ცხოველ-ყოფილობა და სულიერ-ხორციელი გამარჯვება ხვედრია მხოლოდ ოდნავ მაინც კმაყოფილთა და ჯანსაღთა.

ჩვენის თეატრისა და სცენის მუშაკთ პირველ დღიდან მოყოლებული დღევანდლამდე აკლდათ ცხოვრების სახსარი—ლუკმა პური არსებობისა და ნურავის ნუ გაუკვირდება, თუ ჩვენს სცენას დღეს დღეობით შერჩენია მხოლოდ უკვე დაქანცულნი და შებერტყილნი მუშაკნი. ბრძოლის უნარს და გამძლეობასაც თავის საზღვარი აქვს; ამ საზღვრის იქით იწყება ვაჟკაცურა შეტევის მაგიერ ბებრული, უღონო ფახი-ფუხი...

ძველ მუშაკთ სცენისას მხარს არ უდგებიან ახლები, ჯან-ღონით სავსენი და შრომის ჟინით გატაცებულნი, რადგან ნამდვილნი მუშაკნი და ნიჭიერნი გაურბიან ქართულ თეატრს და სცენას, როგორც ისეთს დაწესებულებას, რომელიც ბევრსა თხოულობს და სამაგიეროდ არაფერს ან სულ ცოტას იძლევა.

მიუხედავად ყველა ამ გარემოებათა ჩვენს თე-

ატრს სამერმისოდ მაინც კარგი პირი უჩანს. დრამატული მწერლობა, მართალია, ჯერ სუსტობს, მაგრამ მაინც-დღითი დღე ვითარდება. საკმარისია მოვიგონოთ ნ. შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა“ და ვას. ყოფიანის „სამეგრელოს მთავარი ლეენა“... სცენის სიყვარული და ტრფიალი ახალგაზღობაში არ ჩამქალა და ამის საუკეთესო საბუთს გვაძლევს წრეგანდელი დებიუტი პეტერბურდელ სცენის მოყვარეთა. ქ. ნი ა. ჩირგაძე, პ. ქავთარაძე, შარაშიძე და სხვანი თუ პირველი მერცხლები არიან ჩვენის თეატრის გაზაფხულისა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ პირველებს მეორენიც, მესამენიც და მრავალნიც მოჰყვებიან ამ ახლო ხანში, თუ კი, რა თქმა უნდა, ჩვენებურმა ჩვეულებრივმა დაუდევრობამ უდროოთ არ დასუსხა და კრიჭა არ შეუქრა მერცხლების ჭიკჭიკს...

სწორედ ახალგაზღობაში, ძველების განახლებაშია ჩვენი თეატრის იმედი და სანუგეშო მომავალი. ჩვენ სულაც არ გვინდა და აზრათაც არ მოგვსვლია უმადურად მოვიხსენიოთ ჩვენი ძველი და დამსახურებულნი სცენის მუშაკნი, მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ დღეს მარტო იმათ ანაპარაზედ დარჩენა და დამყარება შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ დრო და ჟამმა ცხოვრებაში სხვა მოთხოვნილება წამოაყენა და ამ ახალი მოთხოვნილებისათვის ჩვენს პატივცემულ სცენის მოღვაწეთ პასუხი ვერ გაუციათ და ვერც ვასცემენ...

დროსა და ჟამს თვისი უცილებელი კანონი ახლავს—სიბერე, რომელიც, მართალია, ნიქსა და ქკუას არ აქარწყლებს, მაგრამ ხორცს და გულს აუძღურებს. ჩვენ ძველ მუშაკთ უკვე არ შესწევთ წინანდებური ძალ-ღონე და ახალ მოთხოვნაზე არც ახალი სიტყვები მოგპოვებთ და არც სახსარი...

ვიქონიოთ იმედი, რომ ეს წარმავალი ხანა, ეს კრიზისი თეატრის და სცენის დაუძღურებისა მალე გაივლის და მოქანცულ, დაუძღურებულ სცენის რაზმებში ხელ ახალი ძალები ჩადგებიან და დღეს მოუხერხებელს და შეუძლებელს ხვალ შესძლოდ გახდიან.

იქნება ვინმემ ოპტიმისტობა დაგვწამოს, ან კიდევ უარესი,—გვისაყვედუროს: განა ახალგაზღები

არა გვეყვანან მომეტებულად ეხლანდელ სცენის მუშაკთა შორის? სულ ახალგაზდები არ არიან და მაინც არა გამოდის რაო?

ეგ მართალი არ არის. ახალგაზდა ის კი არ არის ვინც წლოვანობით და გონებით ნორჩია. ეხლანდელი სცენის ახალგაზდობა უმეტესს შემთხვევაში ხორც-მეტია თეატრის ცხოვრებაში. იმათ არც ძველების ნიჭი შესწევთ და არც საკმაო სიყვარული სცენისადმი. ძველ მოღვაწეთ ნიჭიც დიდი ჰქონდათ და სიყვარულიც უზომო იმ საქმისათვის, რომელსაც ემსახურებოდნენ. ეხლანდელი ახალგაზდები კი თეატრს და სცენას ისე უყურებენ როგორც თავშესაქცევს და მეწველს ფურს... ეხლა სცენაზე მიდიან ისეთები, რომელთაც სასცენო არა სცხიათ რა... ღმერთმა დაიფაროს ჩვენი თეატრი ასეთი ახალგაზდებისაგან. პირიქით, ყოველივე ღონე უნდა იქმნას მიღებული, რომ ეგ ხორც-მეტები და მუწუკები დროისით განშორდნენ თეატრს. თუ ჩვენი ძველი მოღვაწენი ხორციელ-სულიერად დაუძლიერდნენ, ეს ეგრედ წოდებული ახალგაზდები ზნეობრივ და გონებრივ სიმჩატით და არარაობით შხამავენ თეატრის ატმოსფერას.

ახალგაზდა ის არის, ვინც წინ მიდის, განახლების და განვითარების გზას ადგია, გული გატეხილი არა აქვს და სწამს საუკეთესო მერმისი და ამ მერმისისათვის არც თავსა ზოგავს და ყოველივე გასაჭირს ადვილად ურიგდება...

ვასილ აბაშიძე, მიუხედავად თავის 35 წლის სამსახურისა სწორედ ახალგაზდა იყო, იგი არასოდეს არ მოშორებია თეატრის კარებს... რა ვუყოთ ეხლა რომ ღონე ღალატობს და ჯანი არ შესწევს წინანდებურად აიტანოს შიმშილ-წყურვილი და დღეს მხოლოდ იმის ცდაშია რომ ხორციელი ტკივილი დაიცხროს და დაიშუშოს.

ჩვენს თეატრს უნდა იდეური მუშაკნი, განვითარებულნი, გრძნობით გულწრფელნი და უანგარო მოღვაწენი. აი სწორედ ამისთანა ახალგაზდებისაგან ელის ჩვენი თეატრი და სცენა შევლას და ხსნას.

მწიგნობარი.

„ჰაი ზილი, მებოგარებო!“

მგლის თავზედ სახარებას კითხულაბდნენ, ის კი ტყისკენ იყურებოდა...

ამ დღეებში გავათავე ჩემი ფელეტონები „კავკასიის ერთობის“ შესახებ*), და მართალი უნდა მოგახსენოთ, ცოტათი სინიღისიც კი მაწუხებდა, ხომ არ გადავაქარბე ეჭვი კავკასიის შესაძლებელ ერთობაზედ მეთქი. მეორე მხრით მუდამ სოლიდარობაზედა და ერთობაზედ ლაპარაკი მოსწყინდება ადამიანს, როცა საქმე ისეთ ელემენტებთანა გაქვს, რომელთაც ერთობა განგებ აკერიათ

პირზედ, ნამდვილად კი ვინ იცის რა შხამი და მტრობა არ უძევსთ გულში! მეც დიდის მოწიწებით გამოვსაქვი ეჭვი, მხოლოდ ეჭვი,—კავკასიის ერთობა მაინცა და მაინც უეჭველად განსახორციელებელი არ შეიძლება იყოს მეთქი.

მაგრამ გავიდა ორი დღე და რა ვნახე გაზეთ „ხაკავკასიეში!“ (№ 225, ИЗЪ БЕСѢДЪ СЪ АРМЯНАМИ.)—საკვირველი და გასაოცარი რამ. ჩვენთვის სასიამოვნო იქნება, თუ ყოველივე ესე ჭორი გამოდგება, მაგრამ თუ მართალია, მართლაც გასაოცარი რამ ვნახე! რომ წინად გამოსულიყო ეს წერილი, მეც „ეჭვს“ გავაძლიერებდი და მაშინ პირდაპირი საბუთი მექნებოდა მეთქვა, რომ ჩვენში ზოგიერთ ელემენტთა შორის ერთობა შეუძლებელია, რადგან მათი იდეალები და მისწრაფებანი მართლაც პირდაპირ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ეს „უცნაური“ რამ სომხების აღსარებაა რუსების წინაშე, მართალია კერძო საზოგადოებაში, მაგრამ მაინც გულ-წრფელი აღსარება. მაპატიეთ ეს სიტყვა „სომხება“, ვიცო, სოფისტები და „სოლიდარობის მოტრფიალე“ ხალხი მომადახებს,—აქ სომეხი რა შუაშია, აქ ერთი „ჩინოვნიკი“ და ერთი დედებუტატი საღათელიანი ლაპარაკობენო, ორი კაცის აზრს მთელს სომხობას ნუ ახვევთ თავსაო; კარგი და პატიოსანი, —ამ ორ სომეხზედ ვილაპარაკოთ და იმათ შესახებაც, ვინც შეიძლება მათი მომხრე იყოს (სხვისი არ ვიცი და მე კი დარწმუნებული ვარ, რომ უმეტესი ნაწილი სომხის პატრიოტებისა მათი მომხრეა).

ამ ორი სომხის აღსარება ერობის შესახებ თათბირს გამოუწვევია ერთი რუსის მანდილოსნის ოჯახში, სადაც ისინი სტუმრად ბრძანდებოდნენ. აქ აღმოჩნდა, რომ სომხებსა და ქართველებს შორის სოლიდარობაზედ ლაპარაკიც ტყუილი ყოფილა. თურმე სომხებს პირდაპირ უნდა გაემტლავნებიათ, რომ მათი ინტერესები არაფერში არ ეთანხმება ქართველთ და კავკასიის სხვა ერთა ინტერესებს, რუსებთან კი მათ ბევრი რამ ჰქონიათ საერთო და ამიტომ სომხების გულიც უფრო იმათკენ ყოფილა, ვიდრე ქართველთაკენ; თურმე ქიანი ლიბერალობით დაულუბავსთ თავი სომხებს ერობის შესახებ სხდომათა დროს და ხატისოვს კი არა, არამედ გვაზავას დარჩენია გამარჯვება,—ქართველებს თავისი გაუყვანიათ. თურმე რუსების გადმოსახლება კავკასიაში სომხებისათვის ხელ-საყრელი ყოფილა იმიტომ, რომ ქართველებმა და მამადიანებმა არ წალეკან სომხობა. „შეიძლება თქვენთვის გაუგებარი იყოს ეს აზრი, ეუბნება „ჩინოვნიკი“ დიასახლისს, მაგრამ რუსების გადასახლება კავკასიაში ჩვენთვის, სომხებისათვის სასურველიც არის და სასარგებლოც: რუსების გადმოსახლება უზრუნველ-გვეფოფს ჩვენ მაჭმადიანთა ძალ-მამრეებისგან“. — რა ვუყოთ რომ ეს გადასახლება შავრაზმულ საქმედ ითვლება, —რაღაც სიტყვისათვის

*) იხ. „დროება“ № № 240, 242, 248, 251.

ეროვნულ ინტერესთა მსხვერპლად შეწირვა შესაწყნარებელი არ არის: სომხებს პირდაპირ უნდა დაეცვათ ეროვნული წარმომადგენლობის პრინციპი რუსებთან ერთად. (არ ვიცი, ან ამ მხრივ რას გაიტანდნენ სომხები კავკასიაში:—თუ სოჭის ერს, როგორც ერს, ეყოლებოდა წარმომადგენლები, რატომ ქართველებსა და თათრებს არ ეყოლებოდათ, რას უშველიდა რუსობის უმცირესობა?—ან იქნებ განსაკუთრებული პრივილეგიები უნდოდათ, მაგრამ რა საბუთით, ისიც სხვის ქვეყანაში?).

და განა მართლაც მაჰმადიანებთან ჰქონიათ სომხებს ასეთი შეურიგებელი დავა, - ჩვენთანაც, ქართველებთანაც აქვთ თურმე გასასწორებელი ანგარიშა (ჩვენ რაღას გვერჩიან ეს სოლიდარობაზედ მუდამ მყვირალნი და ეხლა მისი უარყოფელნი,—არ გვესმის). ამას თვით დეპუტატი სალათელიანი ამბობს. —მუსულმანთაგან დევნილ სოხებს საქართველოში უმოწინაოთ მეორე სამშობლო. საქართველოში, ამბობს ბატონი სალათელიანი, „სომხებისაგან საუკუნოებით მოპოვებულმა თვისებებმა—(მერე რა თვისებებმა—გაიძვერობამ და სიხარბემ) წამსვე უზრუნველ ჰყვეს მათი კეთილი ცხოვრება,—მაგრამ სხანამ პატრიარქსა და ცხოვრება იყო, საკმაო ძალით არა ხდებოდა მრავალსა ბრძოლისთვის ნაკლებად მძიმე ზადებულთა ჩაყვანვისა.“ (ე. ი. ქართველების ჩაყვანვისა, არა?). რუსის კაპიტალიზმს გამოუწვევია ერთის მხრით ქართველ თავად-აზნაურობის გაღატაკება, მეორე მხრით სომხის ჩარჩების გამდიდრება. ვერც თავად აზნაურობამ, ვერც მით უმეტეს გლეხობამ ვერ გაუწია კონკურენცია სომხის ჩარჩებს კაპიტალიზმის ნიადაგზედ, და აქედან დაიბადა ეროვნული ბრძოლა. „საქმე იმაშიაო, ამბობს სალათელიანი, რომ სომეხი ჩარჩები არა თუ ყველგან ქართველ გლეხობას, არამედ კიდევ დასცილიან“, „ეროვნულ სიწმინდესაც უბღალავენო“, და ამის მოწამე ის თვითონ ყოფილა კახეთში. ამას მოსდევს სომხის ჩარჩის გინება: სომეხი ჩარჩი ებრაელსა ჰგავს და ებრაელ ჩარჩივით იგი არავის არ უყვარს, მისი ბრალი მთელ ერს ედება და სომეხ ჩარჩებისადმი სიძულვილი მთელს სომხობაზედ გადააქვსთო, მაგრამ მაინც იძულებულნი ვართ ისინიც ჩვენებად ჩავთვალოთ, ამიტომაც უფრო სასტიკად ვიხსენიებთო. თურმე ისიც მართალი ყოფილა, რომ არ შეიძლება ქართველი იყოს ადამიანი და არ აღუფოდდეს სომხების როლით საქართველოში! (აი გულწრფელი აღსარება!)

როგორც ხედავთ, სომხების დეპუტატი თვითონვე აღიარებს, რომ სომხები საზიზღარ საქმეს სჩადიან საქართველოში. ისინი ჩარჩობენ, დაგვიცილიან კიდევ და წამდაუწუმ შეურაცხყოფას აყენებენ ჩვენს ეროვნულ სიწმინდეს... მაშასადამე(!), რუსების გადმოსახლების პოლიტიკას ხელი უნდა შე-

ვუწყოთო, რუსებს უნდა შევეუბნოთ ქართველებისა და კავკასიელთა წინააღმდეგ და კერძოდ ერობის შემოღების დროსაც რუსეთის მთავრობას უნდა დაფუძიროთ მხარისა. თუმცა ერობის შესახებ პროექტის შემუშავების დროს ქართველებმა თავისი გაიტანეს, მაგრამ მთავრობა რუსების უმცირესობისათვის ზრუნვის დროს არც სომხობას დაივიწყებს; ყველასაგან შეძლებულ ჩარჩთა დაცვა, ყოველ საძაგელ ჩარჩთა დაცვა და ამ საქმეში შავრაზმელთა დახმარება ჩვენთვის ხელსაყრელია, რადგან ისინი მაინც ჩვენები არიანო! „მომავალი საერო-ბო დაწესებულებანი, ავბობს ჩინოვნიკი, დიდი სახიფათოა ჩვენთვის, სომხებისათვის. თბილისის გუბერნიაში ჩვენ მალე ჩაგვეკლავენ და გაგვაქართველებენ ქართველებიო. ეკონომიური ძალა ჩვენ ვერ გვიხსნისო... ამაზედ ჩვენ უნდა გვეფიქრა და მიგვეღო თავის დაცვის ზომები, რომ კულტურული ცხოვრება სავსებით ქართველების ხელში არ დარჩეს,—ანუ, სიმბოლიურად რომ ვსთქვათ,—სომხის ჩარჩის უფროსი ქალიშვილი,—რომელიც უფრო ლამაზია და კეკლუცი, არ გახდეს ცოლად უდარდელ მოქიფისა და სტუმართ-მოყვარისა,—თავად ბარბალო აგრიკარისა(?), უმცროსი ქალიშვილი კი—რომელიც ნაკლებად ლამაზია, მაგრამ სერიოზული,—სამოქალაქო წესით არ მისთხოვდეს მსწავლულ აგრონომს სოციალ დემოკრატს ძმობიშვილს.“

ადამიანურ ენაზედ რომ გადმოვთარგმნოთ ეს იკლიკანტური ლაპარაკი, სადაც თავის თავის გინება თავის გასამართლებელ საბუთად მოჰყავთ ბ.ბ. სალათელიანს და „ჩინოვნიკს“,—აი რა გამოდის: 1) კავკასიის ერთა სოლიდარობა სომხებთან შეუძლებელია. მაჰმადიანები ყოველთვის სდევნიან სომხებს და საუკუნოდ ჩატყდა მათ მარის ხილი. 2) დარჩა საქართველო, სადაც სომხებმა ჰპოვეს თავიანთი ახალი სამშობლო. მართალია ისინი ჩარჩები არიან, მაგრამ მაინც სომხები არიან, და სომეხთა პატრიოტებმა ისინი უნდა დაიცვან ყოველ შემთხვევაში. 3) რუსის კაპიტალიზმმა სომხის ჩარჩი გააბატონა ქართველ თავად-აზნაურზედ და გლეხზედ, და თუ წინად, როდესაც ნატურალური მეურნეობა იყო, მოსულმა სომხობამ სუსტი ქართველობა ვერ ჩაყლაპა, ეხლა მაინც უნდა განიმტკიცოს საქართველოში კულტურული უპირატესობა, რუსის კაპიტალიზმისა და მთავრობის შემწეობით. 4) სომეხი მხდალია, ამიტომ ამას პირდაპირ არ აცხადებს; დროა აღვიაროთ ჩვენი მისწრაფებანი და განვაცხადოთ,—ჩვენ არ გვსურს სოლიდარობა არც ძმობიშვილთან, არც თავადთან; ჩვენი პირდაპირი ინტერესი მოითხოვს რუსების გადმოსახლებას, რათა საქართველოში კულტურული ძალა ქართველების ხელში არ დარჩეს, ე. ი. ჩვენთვის ხელსაყრელია საქართველოს ეროვნული დაშლა, ამისათვის ჩვენ ხელს ვაძლევთ და მხარს ვუჭერთ შავრაზმე-

ლებისა და მთავრობის პოლიტიკას; იმედი გვაქვს რომ როცა ისინი თავის საქმეებს მოაწყობენ, არც ჩვენ დაგვივიწყებენო!

აი ჩვენი მეგობრების პროგრამმა! ცინიზმი და საკუთარ კეთილშობილების უარყოფა ამაზედ შორს ვეღარ წავა.

მთელი საუკუნოებით გულ-გაშლილი ვიღებდით ჩვენს მიწა-წყალზედ მრავალ ტანჯულ ხალხს,—და თურმე მადლობის ნაცვლად აი რა ჰქონიათ გულში!—ჩაყლაპვა „ბრძოლისათვის ნაკლებად მომზადებულთა“ და ეხლარუსის ხულიგანების შემწეობით ბატონობა, როცა ჩაჩობით ვერას გახდნენ. დაცივის ღირსედაც-კი გაუხდიათ ჩარჩებს მასპინძლები!—ჩვენ კი გვეგონა კულტუროსან ერთან გვქონდა საქმე, რომელთანაც ძმობა და ერთობა შესაძლებელი იყო, ვყვიროდით მუდამ და ვყვიროთ ამ ძმობაზედ,—ესენი კი თვითონვე აღიარებენ: დიახ ჩვენ ყოვლად საზიზღარი ჩარჩები ვართ, „არ შეიძლება ქართველი იყო და არ აღშფოთდე სომხის როლით საქართველოში“, ჩვენ ამას პირდაპირ ვაცხადებთ, და არც „ძმობიშვილთან“ არაფერი საერთო გვინდაო, ამისათვის მომავალ ერობის შემოდების დროს მთავრობის შემწეობით ვეცდებით, ქართველებს თბილისის გუბერნიაში კულტურული ცხოვრება ხელში არ ჩავუგდოთო.

მთელი ორი მაზრა საქართველოსი წაიღეს, ქალაქები აავსეს, თბილისში ქართველი უცხო მღვმურია და არა მკვიდრი თავის სატახტო ქალაქისა, ქართველი მოწიწებით ხმასაც არ იღებს,—სომეხს არა ეწყინოს რაო, მთელი ქართული აზრი საქართველოს ავტონომიაზედ უფრო ნაკლებად ფიქრობდა, ვიდრე სომხებისაზედ, თავს იმტვრევდა, როგორ უნდა მოწყობილიყო მათი ცხოვრება ჩვენში და ერთობ კავკასიაში,—პრესსა სავსე იყო ამ საგანზედ მსჯელობითა; კერძო ლაპარაკშიაც ერთს ისეთს ვერას მოიგონებენ ეს ვაებატონები, რომ მათ უფლებას შეხებოდეს ქართველი,—პირიქით, მათ ყოველთვის უპირატესობას თუ აძლევდნენ,—ესენი კი საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგ იყვნენ და არიან ეხლაც, ეხლა კი ძმობაც არ უნდათ ჩვენთან!

გაგონილა კაცს თავის სახლში თვითმმართველობას უშლიდე და მერე იქამდინაც მიხვიდე, რომ პირდაპირ განაცხადო,—შენთან კავშირიც არ მინდა, შენს მტერთან ვარ ძმური კავშირით შეკრულიო,—და თვითონ კი მის სახლშივე რჩებოდე და თანაც იძახოდე,—ფინთი ვარ, მაგრამ არამც თუ არ წავალ, ყოვლის ღონის ძიებას ვიხმარ შენის მტრების დახმარებით,—შენ გაგაძევო და მე მოვიკალათო შენს ნაოხარზეო!—მაგრამ სომეხს, სჩანს, ყოველისფერი ეპატიება. აბა ჩვენ გვეთქვა რამე ამის მსგავსი, რა ამბავს ასტეხავდნენ! მაგრამ არის

ისეთი რამეები, რასაც ყველა არა კადრულობს. ვმადლობთ გულწრფელ აღსარებისათვის, თუმცა ყოველთვის ვიცოდით, რომ გულში ასეთი „კეთილშობილური გრძნობანი“ ჰქონდათ.

ჩვენც პირადად ვმადლობთ, რომ „კავკასიის ერთობის“ საქმე ცოტა არ იყოს უფრო ნათლად წარმოგივდა. მართლაც, „კავკასიის ერთობა?!“—მოდო და ფედერალიზმზედ ილაპარაკე იქ, სადაც პირდაპირ გეუბნებიან,—შენთან ძმობა მე ხელს არ მომცემს,—მე შენი მტერი ვარ და შენი მტრის მეგობარიო. ასეთ ელემენტთა შორის ფედერალიზმი არ გაგონილა ჯერ ისტორიაში, და თუ ჩვენში მოხდება ეს სასწაული, მართლაც „კავკასია“ რაღაც „უცნაური ქვეყანა“ ყოფილა, როგორც ჩვეულებრივად ამბობენ ხოლმე.

დიახ, მე კიდევ განვიმეორებ, რაც ესთქვი „კავკასიის ერთობაში“: უფველმა კრმა თვით უნდა განსაზღვროს თავისი უფლებანი, რომ სხვამ მათ შესახებ კანტიც ვერ დასძინოს, და მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი სოფიადრება, ფედერალიზმი; წინააღმდეგ შემთხვევაში ანაჟინ არა სცემს პატივს ერის უფლებასა. სოფიადრებაც სურვილზეა დამოკიდებული. იქნებ მართლაც არავის უნდა ჩემთან არც ძმობა, არც ფედერაცია, იქნებ მე რომ ამებზედ ვლაპარაკობ, „მომე“ ტყისკენ იყურება ჩემის სახარების კითხვის დროსა.—მისი ნებაა. მე კი ჩემს უფლებას არ დავკარგავ და მასაც ვაძიებ ვატივი სცეს სხვის სახლში მასპინძლის უფლებასა. ამას მოითხოვს ელემენტარული, უბრალო სამართალი.

ალანოდიკო.

ობოლი.

ჩემს სიცოცხლეში არ ვიცი შეგება, არა მქონია წამს მოსვენება; ჩემთან შობილა ტანჯვა—ვაება, ცრემლი მღუღარე და მწუხარება... რა იქნა დედა? მის კოცნა მსურდა, მაგრამ შავ სიკვდილს ჩემთვის შემურდა. წამართო დედა, შთანთქა შავს უფსკრულს, სევდა მოჰხვია გულს დაობლებულს. მოვლე ქვეყანა, ყველგან დავყოვნე,



მაგრამ სხვა დედა
ველარ ვიპოვნე.
სიობლის ტანჯვამ
ყველა დაჰფარა,
დავიწყების ლოდს
ამოაფარა
ყმაწვილი გულის
სარწმუნოება,
თვით სიყვარული
და სათნოება.
სიხარულიცა
აღარ არსებობს,
გული ტანჯვებში
მარტოდ-მარტოობს...
დედის აღერსი
რა გულს წაერთოს,
ბედნიერებას
ველარ ეღირსოს.
რომ უდედლობას
თვით სიკვდილი სჯობს,
ობოლი გული
აშკარათა ჰგრძნობს.

უუტკბესო და
ძვირფასო დედავ,
ხანდახან, როცა
სიზრმათა გხედავ,
ბედნიერი ვარ!
და რომ სიზმარიც
არ არსებობდეს,
ქვეყნათ ვითარღა
მედგომებოდეს?!

ი. მჭედლიშვილი.

თელავის ცივი.



ჩვენი პრესა

ივ. გომართელი განაგრძობს „ფონში“ ქართველ ერის მდგომარეობის დახასიათებას. რუსის ინტელიგენცია ხალხის ცხოვრებას არ იცნობს, ის ოცნებით სცხოვრობს და თავისი ოცნება ან სინამდვილეთ მიაჩნია, ან ისეთ რამეთ, რაც დღეს თუ ხვალ განხორციელდებაო.

რადგანაც ჩვენ რუსეთის ინტელიგენციის ნამცობართ ვიკვებებით, ჩვენც იმავე სენით ვართ შეპყრობილი. მართალია, ჩვენი ქვეყანა პატარაა და ჩვენი ხალხი შედარებით უფრო ფხიზელი და უფრო გონება გახსნილი, ვიდრე რუსისა, — ამის გამო ჩვენ არა ვართ იმდენათ მოწყვეტილი ჩვენს ცხოვრებას, რამდენათაც რუსის ინტელიგენცია თავისი ხალხის ცხოვრებას, — მაგ-

რამ ჩვენც ოცნებითა ვცხოვრობთ, ილუზიებსა ვკმნით. ზოგი ოცნებობს, რომ შეიძლება მთავრობის გულის მოგება და ამით რეფორმების გამოტყუება, ზოგი ოცნებობს, რომ შეიძლება ბიუროკრატების მოტყუება და ამით სამშობლო ენის აყვავება საშუალო სასწავლებლებში, სხვები ოცნებობენ, რომ რუსეთში ახლო მომავალში დემოკრატიული წყობილება დამყარდება და სხვ. და სხვ. დიდი ნაწილიც სოციალიზმზე ამყარებს თავის იმედებს: მოვა და გვიხსნისო.

მეც ვიცი, რომ ცხოვრება წინ მიდის და ისტორიულ პროცესში ცუდს კარგი სცკლის, ვიცი რომ დღევანდელი ევროპა სოციალისტურ წყობილებას ვერას გზით ვერ ასცდება, მაგრამ... მაგრამ რომელი თქვენგანი ანუგეშებს ჭლექიანს: ორასი წლის შემდეგ კაცობრიობას უსათუოდ ექნება ჭლექის უებარი წამალიო? სოციალიზმი კი დამყარდება, მაგრამ ჩვენ — ქართველებს რა? თუ ჩვენი ცხოვრება ასე წავიდა შემდგომაც, როგორც დღეს მიდის, ჩვენი სინსილაც აღარ იქნება იმ დროს.

კერძო პირებს შეუძლიათ ოცნებით დაკმაყოფილება, მაგრამ მთელი ხალხი ოცნებით ვერ დაკმაყოფილდება. კერძო პირებს შეუძლიათ მომავლის იმედით ცხოვრება, მაგრამ მთელი ხალხი მომავლის იმედით ვერ იცხოვრებს. იმან უნდა იცხოვროს აწმყოთი, აწმყოს ყოველი დღით, აწმყოს ყოველი წამით. თუ ხალხს არ შეუძლია, თავის სასარგებლოთ გაზოიყენოს აწმყოს ყოველი დღე, თუ ხალხს არ შეუძლია აწმყოს ყოველ წამს არსებობისათვის იბრძალოს, ვერავითარი ოცნება, ვერავითარი იმედები მას ვერ უშველის და მისი მოსპობა აუცილებელია.

მთელი ჩვენი ოცნება ფართო ეკონომიურ და საზოგადოებრივ განვითარებაზე დღეს ცარიელი ოცნებაა. ქართველი ერის არსებობის დაცვა, ქართველი ერის დახსნა მოსპობისაგან — აი უმთავრესი საკითხი, რაც ყოველ ჩვენგანს თვალწინ უნდა უდგეს, აი საკითხი, რის გამორკვევას და გადაწყვეტას ყოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს.

სამი ათასი წელიწადი სცხოვრობს ქართველი ხალხი ისტორიულის ცხოვრებით და თუ აქამდინ გასძლო, აწიკ გასძლებს, ამაზე ფიქრი და თავის მტრევა მეტიოა, შეიძლება იფიქროს ბევრმა.

ძლიერი რომი მოისპო, უმშვენიერესი ელლადა გაქრა. განა ჩვენ კი ვერ გაგვიბედავს ბედი მოსპობას, თუ თავი მოვასპობიეთ?

უწინ ქართველ ხალხს თავისი ტერიტორია მაგრათ ვპყრა ხელთ და მისი არსებობა უზრუნველყოფილი იყო, დღეს კი ჩვენი მიწა-ადგილი ხელიდან გვეცლება; ის მიაქვთ რუსებს, სომხებს, ოსებს, ლეკებს. ჩვენში დღესაც საშინელი სივიწროვეა მიწისა. მარტო წარმოდგება იმისი, თუ რა უნდა იყოს ერთი საუკუნის შემდეგ, ყოველ ჩვენგანს სასოწარკვეთილებაში უნდა აყენებდეს. მაშინ, ქართველობა ათი მილიონი მანაც იქნება, თუ მეტი არა, და დღეს თუ არ გვყოფნის ის მიწა, რაც ჯერ ხელთ დაგვრჩენია, მაშინ სადღა უნდა დავეტიოთ?

ეს კითხვა ჩვენი მომავლისათვის ფრიად მნიშვნელოვანი კითხვაა. ურიებს და სომხებს შეუძლიათ იცხოვრონ უტერიტორიოთ და ამავე დროს თავისი ეროვნული სახე არ დაჰკარგონ. იდეა ერთეულსა, აზრი — რომ ისინი ერთ ერს წარმოადგენენ, ეროვნული ეგოიზმი მათ ძვალ რბილში აქვთ გამჯდარი და მემკვიდრეობით სულიერ თვისებათ გადაქცეული. მათ უტერი-



ტორიოთაც შეუძლიათ თავისი არსებობა დაიცვან, რადგანაც ეროვნული ეგოიზმი მათში ყოველ გრძობას—კარგსაც და ავსაც—სჭარბობს. ჩვენ კი ამ ერთეულის იდეას, ამ ეროვნულ ეგოიზმს მოკლებული ვართ. როდესაც კითხვა ჩვენს ერს, ჩვენს ეროვნულ საქმეს შეეხება, ყველა ჩვენგანი მზრიდებით, მოკრძალებით, გაუზბედავით ვიქცევით, თითქმის გვეშინია, მეზობლებს არ ვაწყენინოთ ან ნაციონალისტობა არავინ დაგვწამოსო.

მეტყვიან, ისტორიულმა პირობებმა განავითარა ებრაელებში და სომხებში ის თვისებანი, რომელთა წყალობითაც მათ თავისი სახე არ დაჰკარგეს და ქართველი ერიც რომ იმგვარსავე პირობებში ჩაეარდეს, გარეშე პირობები და ბრძოლა არსებობისათვის ძალაუნებურათ განავითარებს მასში იმ გვარსავე პირობებსო. შესაძლებელია, მაგრამ სანამ ეს პროცესი დამთავრდებოდეს, სანამ ქართველი ხალხის ბუნება გარდქმნებოდეს, მანამ ის მოიპოვება, რადგანაც ამ მხრივ ის ვეღარ ვის ვეღარ გაუწევს მეტოქეობას.

აი ამიტომ ჩვენი ტერიტორია ჩვენი ეროვნების ბოძია, ჩვენი მიწა-წყლის ყოველი გოჯი ჩვენთვის დაუფასებელია.

სიცოცხლის ზღვაზედ.

(სტრაქანები).

ზაფხული იყო, ზაფხული! —
სიცოცხლის ზღვაზედ ვცურავდი, —
მზის სხივებს ვეწაფებოდი,
ოცნების ზვირთებს ვსწურავდი.

ზღვა აბობოქრდა, აღშფოთდა...

ტალღებმა მძლიეს, წამიღეს;
ოცნების ქსოვილს მომწყვიტეს,
ცხოვრების კარი გამიღეს...

დავსუსტდი, ძალი წამერთო,
მაინც არ ვთმობდი ბრძოლასა;
შველად ვიწვევდი, — ვნატრობდი
გვერდსა მეგობრის ყოლასა.

მთრთოლვარე გული ჩემს ხომალდს
დავკიდე ნიშნად, ალამად; —
ხმები მომესმა, მივიღე
სათანაგრძობო სალამად, —

ზღვის შუაგულზე შევნიშნე
ვაჟაკი, მარჯვედ მცურავი;
შორით ვერ მივხვდი — საქები
მარჯვენა ჰქონდა თუ ნავი.

გავეხმაურე: — „მომიღალა
ცხოვრების ზღვისა ღელვამა; —
გზაზედ გამიყვა, ვაჟაკო,
ვით წყვდიად ღამეს ეღვამა!“

პასუხი მომცა — „ქალწულო,
რათ მივანებებ ზღვასაო?! —
ფეხ-ქვეშ დაგიგდებ ჩემს გულსაც,
მხოლოდ შენ, — არა სხვასაო“.

ნიაგმა ფრთა-ფრთას შემოჰკრა,
შემომქვითინა: — „არაო!

შენამდე ბევრი ყვაილი
მოსწყვიტა, დაამქნარაო...“

ეგ სტყუის! — ნუ მიენდობი,
ბრძოლად ნუ განვალთ ერთადა;
ნუ დაუფიცავ სიყვარულს,
ნუ გაჰხდი გულის ღმერთადა. —

დაგამხობს, როცა ყვაილებს
მოჰკრეფავს შენს გულ-მკერდზედა; —
ზღვის ფსკერზედ დასცემს შენს ხომალდს,
გადააბრუნებს გვერდზედა.

სცდები! — ეგ გმირი არ არის
შმაგია, ასე ყიალებს;
ვნებით დამთვრალი შენს ყვაილს
მოსწყვიტავს, გაათიალებს.

მარტოთ ჩაები ბრძოლასა
ხვედრი არ გაუზიარო, —
ეგ უღირსია... გასთელავს,
გიჯობს სულ მარტო იარო.“

ნიავი დასცხრა. პასუხი
მოვთხოვე გრძობას, გონებას: —
კვენსაო აღმოხდა. შევწუხდი.
სული მიეცა ღონებას.

მაღალი მცნება კაცისა
აღარ მწამს იმ ღღეს აქათა.
გამიქრა, როგორც სიზმარი,
გულზედ დამეტყო ლაქათა.

აწ მარტოთ ვებრძვი ზღვის ღელვას.
მივდევ ცხოვრების ტრიალსა.
ხან თავს ჰხრის ჩემი ალამი,
ხან მაღლა იწყებს ფრიალსა.

შემოდგომაა... ქარი ჰქრის,
ზღვა მისცემია ძრწოლასა, —
მარტო ვარ, მარტო. ყურს ვუგდებ
ტალღების აშლა — სრბოლასა.

ბაბილიანა.



მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა
უძველეს დროიდან.

მომზადების ხანა.

III.

სანამდის ვიტყვდეთ რასმეს მე-X—XI სსუკ. მო-
ღვაწე-მთარგმნელების შესახებ, ჩვენის აზრით აუცილებ-
ლად საჭიროა გავიგნოთ ორი უმთავრესი ცენტრი ქარ-
თველთა განათლებისა, სადაც იღვწოდნენ და დაუღალა-
ვად შრომობდნენ სამშობლო ღირსეულად გასამდიდ-
რებლად ქართველი მწიგნობარნი და სწავლულნი.

ასეთი პირველი ცენტრი იყო ივერიის მონასტერი.

ის მთის მწვერვალი, რომელიც დღეს შედიურად გად-
მოსტყერის ივერიის მონასტერს, ძველად იწოდებოდა
„აფთ“. ამ მწვერვალზე არაბებს ჰქონდათ ამართული
კანდელი. ზირველათ აი ამ ადგილზე დაბინავდნენ ქარ-
თველნი 787 წ. კონსტანტინე დიდის და ირინეს მე-
ფობის დროს¹⁾. ისინი თავდაპირველად ერთად სცხოფ-
რობდნენ. რომ მართლაც ასეთს ძველს დროს სცხოფრობ-
დნენ ქართველი ბერები ამ ადგილზე და ჰქონდათ კი-
დეც საკუთარი ს. ვანე, — ეს ცხადია მტკიცდება შემდეგის
მწერლობითი საბუთებით, რომლებიც მოიხსენიებენ ივე-
რიის მონასტერში: 1) თეოფილე ხატუმბოძლის მე-
ფობის ზირველს წლებში (829 წ.), ნიკეაში ერთმა
კეთილმისხურმა ქვრივმა, ერთადერთი შვილის დედა
წყალს გაატანა ღვთის მშობლის ხატი, რათა ხატუმბო-
ძლეთ არ შეურაცხეფთ ეს სიწმინდე და თავის შვი-
ლიც მოამოკის საშობლეს — გაცხავს მაკედონიაში. რა-
მოდენიმე ხნის შემდეგ მისი შვილი დაბრუნდა ათონში
და აქ, ივერიის მონასტერში, შესდგა ბერად. მისგან
ივერიელებმა შეიტყვეს დედა-შვილის თავ-გადასავალი და
ამბავი იმის შესახებ, თუ ბერის დედა როგორ მოექცა
ღვთისმშობლის ხატს²⁾. როგორც მოგვითხრობენ, ამ
ხატის ზღვიდგან ამოყვანა წილად ერგო ქართველ ბერს —
გაბრიელს; 2) ივერიის მონასტრის იღუმენს იოანეს ხე-
ლი აქვს მოწერილი იმ საქმის ქაღალდზე, რომელიც
შეეხება მონასტრის ახლო-მანძელ მიწების გამოყვანას³⁾
965 წ. ათონში, წმ. იოანეს ღვთის მახლობლად, და-
ბინავდა შესანიშნავი ქართველი ბერი — იოანე ივერიელი.
მალე მასთან მოვიდნენ მისი შვილი ექვთიმე, გამოჩენი-
ლი ქართველი მხედართ მთავარი თორნიკე, და ორივენი
მაშინვე ბერად შესდგნენ. სამივენი მუუდროთ სცხოფ-
რობდნენ ათონში 979 წლამდე. ამ წელს კი, როგორც
მოგვითხრობს ისტორია, საბერძნეთის მეფის ვასილის
თხოვნით, თორნიკემ დროებით თავი დაანება მონასტერს
და გაილაშქრა ვარდა სკიპროს წინააღმდეგ, რომელიც
მეფეს ტახტიდგან ჩამოგდებას უპირებდა. მან სახელ-
განად აასრულა მეფის მონდობილება: საშინლად დაამარ-
ცხა მტერი, და დიდი ავლად-დიდებით დაბრუნდა ათონზე
და კვლავ მუუდრო ბერულ ცხოვრებას შეუდგა. ამ ფაქტს
ერთხმად ამტკიცებენ ბერძნებს და სომხების ისტო-
რიკოსები⁴⁾. გაიარა რამდენიმე ხანმა. ქართველებს
თან და თან ემატებოდათ წევრები. ამ მიზეზით მათ
წინანდელ ღვრამში ვიწროობა იგრძნეს. იმათმა უფროს-
მა იოანე ივერიელმა გადასწევითა აქმენებინა ქართვე-
ლებისათვის დიდი და ვრცელი მონასტერი. ქართველე-
ბის მოთხოვნილებას და იოანეს სურვილის შესრულებას
ხელს უწყობდა მაშინდელი გარემოებაც. რადგან მეფე
ბასილი ძლიერ დავადაინებული იყო ათონელ ქართველე-

ბის მადლითა და იმ შემწობით, რომელიც მას აღმოუ-
ჩინა მათმა თანამემამულემ — თორნიკემ, ის მზათ იყო
ადესრულებინა მათი ყოველგვარი სურვილი. ეს ერთი.
მეორე მხრით ის ავლად-დიდება, რომელიც თორნიკეს
ერგო წილად ვარდაზე გამარჯვების შემდეგ, შესამჩნე-
ვად უადვილებდა ქართველებს დიდი და ვრცელი მონას-
ტერი აქმენებინათ. ამ გარემოებით ისარგებლა იოანემ
და მტკიცედ შეუდგა საზოგადო სურვილის განხორციე-
ლებას. თავდაპირველად ის თავის ნათესავებით გადასახლ-
და ქართველთა ძველ მონასტერში, „ათონი“. 980 წ.
იოანემ გამოსთხოვა იმზ. ბასილს ორი ქართულ მონა-
სტრის (ივერიის — კონსტანტინეზოლში და წმ. ფო-
კასი — ტრაპიზონდში) სამაგიეროდ ბერძნების შემდეგი
მონასტრები: ლეონტის — სოფელში, იოანესი — ერისში
და კლიმენტის — ათონში. ამ მონასტრების მამულების
შემოსავალი იოანეს უნდოდა „აფთს“ ქართველთა მონა-
სტრის შესახებ და ახალი ვრცელი ღვრის აღსამე-
ნებლად⁵⁾.

განვლო დრომ. იოანემ შესცვალა თავისი წინანდე-
ლი აზრი. მან თავი მიანება „აფთს“ მწვერვალზე
აქმენებულ ქართველთა ძველ მონასტერს და ჩამოვიდა
დაბლა ზღვის პირად და აქ, იმ ადგილზე, რომელიც
ქართველებს იმზ. ბასილმა უბოძა, წმ. კლიმენტის მონ-
ასტრთან, დაიწყო ქართველთა ღვრის აქმენება. ამისა-
თვის ამ ღვრას დიდხანს „კლიმენტის“ სახელს უწო-
დებდნენ⁶⁾. როგორც სჩანს ისტორიული საბუთები-
დან, ამ ღვრის აქმენებაში იოანე და თორნიკესთან ერ-
თად მხურვალე მონაწილეობას იღებდა ვიღაც ქართველი
ვარსკვლავი, რომელსაც ზოგიერთები თორნიკეს ძმათ
სთვლიან⁷⁾.

985 წ. ქართველთა ღვრა თითქმის მზათ იყო.
იმავე წელს, ქრისტეშობისთვეს, ათანასე ათონელმა —
იოანე ივერიელის მეგობარმა — უძღვნა მას „ხრისოული“
იმზ. ბასილისა რომელითაც ღვრას უფლება ეძლეოდა სა-
კუთარი ხომალდები გაეჩინა⁸⁾. იოანეს სიკვდილის შემ-
დეგ (998) ღვრის წინამძღვრად იყო ექვთიმე, შვილი
იოანესი. ექვთიმემ დიდი და დაუვიწყარი ღვაწლი დასდო
საქართველოს ეკლესიას სიკვდილის წიგნების თარგმნით
ბერძნულ ენიდან ქართულ ენაზე. გარდა ამისა ის თავგან-
წირულათ იღვწოდა ათონზე სხვა მხრეც: ხან აქ და
ხან იქ აქმენებდა ეკლესიებს, საფათმეფოებს, მოხუცე-
ბულთათვის თავშესაფარებს და სხ. გარდაიცვალა ექვ-
თიმე 1028 წ. ქ. კონსტანტინეზოლში, სადაც წავიდა
მონასტრის საქმეების გამა.

ექვთიმეს შემდეგ წინამძღვრობდა მისი ძმისწული
გიორგი ზირველი. გიორგის წინამძღვრობის დროს იმ-

1) იხ. პორფირი უსპენსკი „Перв пут въ Афон. мон и скиты въ 1850, ч. 1, отд. 2.
2) იხ. პ. იოსელიანი „Кратк. Груз. Ист., გვ. 61.
3) იხ. პორფირი უსპენსკი „Путешествие...“.
4) იხ. პლ. იოსელიანი „Крат. ист.“; ეს კითხვა სა-
ფუძვლიანათ გამოკვლეული აქვს აკად. ბროსესს.

5) იხ. ალ. ცაგარელი „Свѣдѣн. о пам. груз. ст. въ свят. .“, Пал. СВ: ჩრეი 10, გვ. 37-42.
6) იხ. ანტონინი „Записки поклонника Св. Горы“, Кіевъ 1864 г. გვ. 65.
7) იხ. ვ. სოკოლოვის „Состоян. монаш. въ Ви- зон. съ понолины IX до XIII в.“, გვ. 230.
8) ანტონინი „Замѣт. .“, გვ. 62.

პეტროს მიხეილ ზაფხაგანელმა 1034 წ. თავის „ხრის-სოფლით“ დაუბრუნა ქართველებს „აფოც“, რომელიც წინათ ქართველებს ეკუთვნოდა და რომელიც, გიორგის დაუდევრობით, სახელმწიფო ხაზინაში იქმნა შეტანილი. გიორგიმ გააგრძელა ექვთიმეს მიერ დაწყებული შრომა და აღაშენა სასწავლებელი ორმოც ქართველ ერმათათვის.

გიორგი I-ის შემდეგ იყო გიორგი ოფთისელი. ისიც, როგორც მისი წინაპრები, სთარგმნიდა წიგნებს. 1283 იმშ. ანდრანიკემ თავის „ხრის-სოფლით“ დაუმტკიცა ივერიის ღვრას ის მამულები, რომელნიც მას ეკუთვნოდა სხვა და სხვა ადგილებში⁹⁾. 1285 წ. ათონის ქართველებმა დიდი ტანჯვა-წვალება და შევიწროება გამოაჩინეს ღათინების მეფებით და იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ. თან წაიღეს მხოლოდ მონასტრის საუნჯე — ღვთისმშობლის ხატი და კვლავ დაუბრუნდნენ მიტოვებულ მონასტრს მხოლოდ 1295 წ.

1310 წ. იმშ. მიხეილ კომნინოს ზაფხაგანელმა ხელახლად დაუმტკიცა ქართველთა მონასტრს მამულები და უწოდა მას „ღვთისმშობლის მონასტერი“. ასევე მოაქცა გიორგი კონდესტეფან-გაგუშვი¹⁰⁾.

ჯვაროსანთა ომების დროს ქართველთა მონასტრებმა ბევრი რამ ცუდი განიცადა ბარბაროსი ღათინებისგან, რომელნიც დაუზოგველად ახრებდნენ მას. მაგალ., 1260 წ. ღათინებმა მთლად გატარდეს ივერიის მონასტერი და მრავალი ბერი დახრეს. როგორც კადმოგვცემენ, იმშ. მიხეილ ზაფხაგანელმა რამდენიმე წლის შემდეგ მთლად აახრეს ეს მონასტერი იმისთვის, რომ მართლ მორწმუნე და მტკიცე ბერებმა არ წაბადეს წმ. ათანასეს ღვრას და არ მიადეს უნია რომთან, რომელსაც ზაფხაგანელი და ზატარაქი ძალით აჩეხებდათ მათ¹¹⁾. მაგრამ მონასტერი დიდხანს არ იყო დაცარიელებული. ქართველმა ბერებმა თან და თან ისევ იქ მოიყარეს თავი. მონასტრის ხელახლად აყვავებას საბოლოოდ ხელი შეუშალა თათრების თავდასხმამ და ახრებამ. ამ დროს ვიზანტიაც დაუძღურებული იყო. ასეთს ცუდსა და სამწუხარო მდგომარეობაში იყო მონასტერი 1500 წლამდე. ამ დროს ზოგიერთი ქართველი ბერი გაემგზავრა საქართველოში და მეფე გიორგის უამბეს ქართველთა ღვრის თავდასხვადი და ცოცხლად დაუსურათეს მისი ახლანდელი უნუგეშო მდგომარეობა. მეფემ და მისმა შვილმა ქაიხოსრომ მოაძიეს ბერების თხვნა და აღმოუჩინეს უხვი დახმარება. ბერები ისევ დაბრუნდნენ და მეფისაგან ნაბოძარი ფულებით მოკლე ხანში ისევ შეკეთეს მონასტერი. ამ ნაირად ისევ ისე აყვავდა ივერიის მონასტერი, როგორც ექვთიმეს დროს. კვლავ გაჩაღდა შრომა, მუშაობა, კვლავ შეუდგნენ ბერები მოღვაწეობას და სთხოვდნენ ცხოვრებას. მაგრამ დიდხანს არ უსარგებლავ მონასტრს ასეთის მუდრო და მშვიდობიანის

ცხოვრებით. მე-XVI საუკუნის მიწურულში, სთარგეთის მთავრობის გაუმძღვრობის და შეგუებულობის შედეგით, მონასტერი ხელახლად ჩავარდა ვაღში და მთლად დაცლიერდებოდა, რომ ბერებს არ მიემართათ თხვნით ისევ საქართველოს მეფისათვის. 1592 წ. ივერიის მონასტრის ბერებმა კახეთის მეფე ალექსანდრეს მართვეს კლიტე და მონასტრის ხატი და სთხოვეს დახმარება. მეფემ ზაშინვე მისცა 12000 მ. ათი წლის განმავლობაში ამ ფულით ქართველებმა გადაიხადეს თათრების ვაღი¹²⁾. საბოლოოდ ივერიის მონასტერი შეკეთდა და აღმთავრდა 1674 წ. ასეთონ მუხრან-ბატონის საფასით¹³⁾.

ივერიის მონასტრის ძველს დროში შესანიშნავი მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ამ ბიბლიოთეკადგან დღემდე დარჩა მრავალი ძვირფასი გუჯარი, სიგელი და წიგნი, მიუხედავად იმისა, რომ ბერები მე-XVIII საუკ. დაწყებული (როდესაც მათ მონასტრიდან გაძევეს ქართველები) უდიდეს ეზურბოდნენ ქართველთა სიძველეთ და სრულიად უურადდებან არ აქცევდნენ დარჩენილ ძვირფას წიგნებსა და გუჯრებს. აი სხვათა შორის რასა სწერს ამ ბიბლიოთეკის შესახებ ანტონინი იფისი თავის წერილებში: „Обозръние Иверской библиотеки приотвилло меня въ разбору древнихъ актовъ и грамотъ монастыря, весьма многочисленныхъ и весьма занимательныхъ по своему разнообразію и по своему, большею частью, глубокой древности“.

ივერიის მონასტრის ხელახლეობი მოკლედ აღწერილი აქვს ივერეთის უკანასკნელ მეფის სოლომონ მეორის მოძღვრს, მღვდელ-მონაზონს ილარიონს 1836¹⁴⁾.

ივერიის მონასტრს დიდი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოდ ქართველებზე. აქ საბოლოოდ გადითარგმნა ევგელა საეკლესიო წიგნი და წმ. მამთა ნაწარმოები. ამ მონასტრებში აღიზარდნენ შესანიშნავი, დრმათ განათლებული და ნიჭიერი ქართველი მწერლები: ღვთისმეტყველები, ისტორიკოსნი, ფილოსოფოსნი, პოეტნი. აქ იყო აშენებული ქართველებისთვის უმაღლესი სკოლა, სადაც ნიჭიერი საზღვარგარეთი იღებდნენ დრმა, საფუძვლიან და უფლებმხრავ განათლებას.¹⁵⁾

იპ. ვართაგავა.

¹²⁾ იხ. „Журн М. Н. Провс.“, 1836 г., т 40; სტატი, აკ ბროსესი „О религіозно - правотв. состояніи Грузіи до XVII в..“

¹³⁾ იხ. „Труды V археолог. съѣздъ въ Тифлисъ 1881 г.“...

¹⁴⁾ იხ. „Труды V археол. съѣзды въ Тифлисъ 1881 г.“...

¹⁵⁾ ვისაც სურს ვრცლად გაეცნოს ქართველთა განათლების ამ ცენტრსა და იმის ღირს შესანიშნავ ისტორიას, ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ კიდევ შემდეგ წყაროებზე: „საქართ. ისტორ.“ ბაქრაძისა, გვ. 246—261; „Тифлисъ въ историч. отношеніи“ პლ. იოსელიანისა, გვ. 345; „ქრონიკები“ თ. ყორღანიასი, 5 I, გვ. 270—273; 5 II, გვ. 359—420; „დავით აღმაშენებელი და მისი დრო“ 5. ურბნელისა, გვ. 84; „Путешествіе“ ბარსკის გვ. 593, 580; „Крат. Цер. Ист.“ 3. იოსელიანისა, გვ. 67.

⁹⁾ იხ. პორ უსპენსკი „Первое путеш...“, გვ. 159.
¹⁰⁾ იხ. „Первое пут..“
¹¹⁾ ა. ბ. მურავევი „Письма съ Востока“—Чтеніе любителей духовнаго просвѣщенія, წიგ. 17, 5. 1.

ერის უფლება.

VIII

(გაგრძელება)

საქართველოს თავისი ისტორია და კულტურა ჰქონია საუკუნეთა განმავლობაში. იგი სხვა ერთა შორის—ერი იყო პატივ-ცემული, ბრძოლის მიმღები და ბრძოლის გამწევი, ხან გამარჯვებული და ხან დამარცხებული, როგორც ყველა სხვა ერები დედა-მიწის ზურგზედ. მასა ჰქონდა საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, საკუთარი ენა და მდიდარი, განვითარებული ლიტერატურა, საკუთარი ეს თეტიური კულტურა, საკუთარი სჯული, დამოუკიდებელი ეროვნული ეკლესია, რომლისთვისაც იგი იბრძოდა მრავალი მტრის წინააღმდეგ. ერთი სიტყვით,—საქართველოც იყო ერთი კონკრეტული საზოგადოება, ერთი ისტორიული ინდივიდუუმი. იგი ისტორიული ერი. მაშასადამე იმ უმაღლეს საერთაშორისო ზნეობისა და სამართლის თვალთახედვით, რომელზედაც ჩვენ ზემოდ ვლაპარაკობდით, იმასაც ჰქონდა უფლება არსებობისა და დამოუკიდებლობისა, უფლება თავის დაცვისა და საერთა-შორისო ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებისა, როგორც წევრს საზოგადოებათა საზოგადოებისას. და აკი მართლაც არსებობდა საქართველოს ცხოვრებაში სამართლის ყველა ამ დარგებთან ერთად, რომელნიც უჩვენებენ ერის ინდივიდუალურ არსებობას, საერთა-შორისო სამართალიც, რომელსაც დროის მიხედვით ყოველთვის ემორჩილებოდნენ, რამოდენიმედ მაინც, იმ დროინდელი ერები, და მათ შორის საქართველოც. ესეა ჩვენი ნიჭიერი და დაუღალავი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი ქართულ სამართლის ისტორიასა ჰბეჭდავს, და იქ ვხილავთ საერთა-შორისო სამართალთან საქართველოს განწყობილების ისტორიასაც.

რამ მოუსპო მერე საქართველოს ეს უფლება და ვინ გამოირიცხა იგი საზოგადოებათა საზოგადოებიდან? ეს კიდევ რა,—რაღა გვთვლიან დღეს ისეთ ერთად, რომლის არსებობის დაცვა, რომლის უფლების დაცვა არა თუ მოვალეობად არავის მიაჩნია უმაღლესი საერთა-შორისო სამართლის თვალთახედვით, არამედ თვით მოწინავე პარტიებსაც კი ჩვენში და მეტადრე რუსეთში სასირცხველო ნაციონალიზმად და შოვინიზმად მიაჩნიათ საქართველოს უფლებაზედ ლაპარაკი?

მიზეზი ამისა ერთად ერთია;— როდესაც საქართველოს მოესპო არსებობის სახელმწიფოებრივი ფორმა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, იგი გამოირიცხა კაცობრიობის შემადგენელ სოციალურ ინდივიდთა სიიდან, იგი გაჰქრა, როგორც ერი, იმ ადამიანთა თვალთახედვით, ვისთვისაც ერი და სახელმწიფო ერთი და იგივეა, ვისთვისაც

საერთაშორისო კავშირი მარტო სახელმწიფოთა შორის შეიძლება, რადგანაც სახელმწიფოა საერთაშორისო სამართლის საგანი და არა „ერი“, „ხალხი.“—საქართველო ამასთანავე რაღაც საშუალო არსებად არის მიჩნეული იმ ყალბ სოციალისტ-ინტერნაციონალისტთაგან, რომლებზედაც ზემოდ ვლაპარაკობდით. მათის აზრით ლაპარაკიც არ შეიძლება საქართველოს უფლებებზედ, რადგანაც საქართველო არ არსებობს როგორც სახელმწიფო, არამედ იგი რუსეთის ნაწილია და მასთან უნდა გაიყოს ქირიცა და ლხინიცაო.

რუსის სახელმწიფო კაცები, და მათთან ერთად ჩვენი და სხვისი „ინტერნაციონალისტები“ ნამდვილად რუსის ნაციონალისტები და სახელმწიფო ინტერესების დამცველნი არიან, ნებისთ თუ უნებლიეთ, მაშასადამე უარ-მყოფელნი საერთაშორისო სამართლისა,—იმ საერთაშორისო სამართლისა, რომელზედაც ჩვენ ზემოდა გვქონდა ლაპარაკი. მაგრამ იგინი მარტო ამ მხრით კი არა ჰყოფენ უარს საერთაშორისო სამართალსა, არამედ სხვა მხრითაც, წმინდა კანონიერის მხრითაც, რაის დამტკიცებაც ძლიერ ადვილია,—თუ გინდ „დიდების ტაძრის“ კედელზედ ოქროს ასოებით ამოჭრილ წარწერებითა!

განვიხილოთ მოკლედ,—აქვს თუ არა საქართველოს უფლება, ის უზენაესი უფლება, რომელზედაც წინა წერილებში ვლაპარაკობდით,—უფლება დამოუკიდებლობისა, სრული თვით-არსებობისა, სუვერენობისა, აქვს თუ არა მას უფლება თვით რუსეთის პარისპირ,—უფლება თუ სუვერენობისა არა,—ავტონომიისა მაინც,—და რა მოუვიდა ამ უკანასკნელ უფლებას, რომელიც აღიარებულ იყო რუსეთის მიერ ჩვენთან დიდებულ ხელ-შეკრულებაში?

უზენაესი საერთაშორისო სამართლისა და ზნეობის ძალით ყოველ ერს აქვს უფლება სუვერენობისა, განსაკუთრებით ისეთ ერს, რომელსაც აქვს განსაზღვრული ტერიტორია და ამ ტერიტორიაზედ ჰყავს უმთავრესი ნაწილი ხალხისა, რომელიც უცხო ჩამოსახლებულთა რიცხვთან შედარებით უმეტესობას შეადგენს, და რომელსაც ამ განსაზღვრულ ტერიტორიაზედ თავისი ორიგინალური პოლიტიკური ისტორია ჰქონია.

სხვა პატარა ერებთან შედარებით, ამ მხრით საქართველოს ახლაც სრული უფლება აქვს სრულის დამოუკიდებლობისა. შავი ზღვიდან მოყოლებული კავკასიონის ქედამდე ჩვენი ტერიტორია უმეტესად ქართველი ხალხით არის დასახლებული; რიცხვი ქართველთა ორ მილიონამდის აღის. მაგრამ ტერიტორიაზედ დასახლებულ უცხო ელემენტებსაც თუ მიუმატებთ, რასაკვირველია მეტი იქნება,—ორ მილიონ ნახევრამდისაც ავა. ხოლო ისეთი ტერიტორია, სადაც მარტო ერთი ერი იყოს დასახლებული, არსად არ მოიპოვება; პირ-

იქით, ყველგან ბევრია უცხო ელემენტი, განსაკუთრებით იაეთ ქვეყნებში, რომელნიც ჩვენ გვემსგავსებიან თავისი მრავალ-ტანჯული ბედითა, — და ყველას რომ ჩამოართვათ უფლება არსებობისა იმ მიზეზით, რომ მათ ტერიტორიაზედ უცხონი სცხოვრობენ. — ეს დიდი უსამართლობა იქნება, არც დასთმობენ არასოდეს ეს ერები ასეთს უსამართლობასა. მართალია, თუ უცხო ელემენტი ერთობ ბევრია, გაცილებით მეტი ეროვნულ ელემენტზედ, მაშინ ტერიტორიალური დამოუკიდებლობის საკითხის გადაწყვეტა ამა თუ იმ ერისა ძლიერ ძნელია, მაგრამ ჩვენ ჯერ ასეთი უბედურობა თავს არ დავგვტყენია. — მთელ საქართველოს ტერიტორიაზედ 70,5% მეტი ქართველობაა; თბილისის გუბერნიაში ქართველობა 50% მეტია, თუ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებსაც მივიღებთ მხედველობაში, სადაც განსაკუთრებით არის შემოხიზნული უცხო ელემენტი. თუ ეს ორი მაზრა გამოვაკლეთ, — მაშინ ქართველობა 62%-ა თბილისის გუბერნიაში, მაგრამ აქაც განსაკუთრებული ყურადღება ქალაქებს უნდა მივაქციოთ, სადაც სომხობაა შეგავსებული. ქალაქებსაც თუ არ მივიღებთ მხედველობაში, თბილისის გუბერნიაში მაშინ 72% ქართველობა რჩება. ქალაქებში კი სად არ არის უცხო ელემენტი და განა ამით ერს უფლება ერთმევა დამოუკიდებლობისა? — წაართვით პოლონელებს, მაშასადამე, უფლება დამოუკიდებლობაზედ ფიქრისა, იმ მიზეზით, რომ ვარშავაში ყველა სხვა ქალაქებში აუარებელი ებრაელია და ზოგან უმეტესობაც. წაართვით ოსმალეთს, მაშასადამე, სალონიკი, რადგანაც იქ დიდი უმრავლესობა ესპანურ ჟარგონზედ მოლაპარაკე ებრაელია. რასაკვირველია, ამ მიზეზით არც ოსმალეთი დასთმობს სალონიკსა და არც პოლონეთი თავის ქალაქებსა. —

ტერიტორია გვაქვს ქართველობას, მაზედ ჩვენი უფლება უნდა არსებობდეს სამართლის ძალით, და თუ ზოგიერთ ქალაქებში და ორ მაზრაში უმეტესობა უცხოელია, — ეს არც ამ უცხოელთა და არც არავის არავითარ უფლებას არ აძლევს წავგართვან ტერიტორიალურ დამოუკიდებლობის უფლება. ნუ დაივიწყებს ნურავინ, რომ ეს ნაწილი ტერიტორიისა ათასის წლოებით ჩვენი საკუთრება იყო, ზედ ქართული კულტურა ჰყვავდა, სისხლით ვიცავდით მტერთაგან და დღესაც სრულიად არ გამქრალა იქ ქართველობა. დღესაც იგი ნაწილია საქართველოსი, და თუ უცხო ვინმეა იქ, იგი ჩვენ სახლშია დამკვიდრებული და უფლებაც აქვს დარჩეს სწორ-უფლებიან საქართველოს მოქალაქედ, რადგანაც მისი ეროვნული კულტურა და თვისებურება თვით ქართულ სამართლისაგან იქნება დაცული და პატივ-ცემული, ხოლო მას წაგლეჯის უფლება არა აქვს! ჩვენცა გვაქვს უფლება

ჩვენი ეროვნული საკუთრება დავიცვათ უსამართლო სტუმართაგან; ყოველ შემთხვევაში, თუ არ მოეწონებათ ჩვენთან სტუმრობა და ჩვენი მასპინძლობა, სრული უფლება აქვთ თავიანთ სამშობლოშივე მიბრძანდნენ, საიდანაც მობრძანებულან.

საზოგადოდ ამ ორ მაზრას გულისხმობენ, როდესაც ლაპარაკობენ ჩვენის ტერიტორიალურ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. უკიდურესს შემთხვევაში შეგვიძლია კიდევ დავუთმოთ ეს ორი მაზრა, ანუ ის ნაწილები ამ მაზრებისა, სადაც უცხო ელემენტი უმეტესობაა, და ჩვენი ტერიტორიალური უფლება მაინც არ დავკარგოთ, რადგანაც ტერიტორიალური უცხოება პირველი უფლებაა ერისა. განვიმეორებთ, — განა ყველგან ერთიერია ყოველ ტერიტორიაზედ, და თუ სხვა და სხვაა, — განა ვისმეს უფლება ერთმევა დამოუკიდებლობისა და მონობაში უნდა გაატაროს თავისი სიცოცხლე? — უნგარეთში 1890 წლის ანგარიშით იყო 48,6% უნგარელი, 1897 წელს — 50,4%, 1899 წელს კი — 52% ყველა მცხოვრიბთა. ამგვარად უნგარელები თავიანთ ქვეყნებშიც ნახევარზედ ცოტა მიტნი არიან, წაართვით მაშ უფლება სახელმწიფოს შედგენისა! პირიქით, მათ აქვს ეს უფლება და უსამართლოდაც ხმარობენ, რადგანაც უნგარელები მთელს უნგარეთის სახელმწიფოში (და არა საკუთრივ უნგარეთში) ბარტო 40—44% შეადგენენ. ამ ნიადაგზედაც არის ბრძოლა უნგარელთა და სხვა ერთა შორის, მაგრამ როგორი სამართლიანიც არ უნდა იყოს ამთა მოთხოვნა, თვით უნგარეთს ვერ წაართმევენ საკუთარ ტერიტორიაზედ მაინც სახელმწიფოს შექმნის უფლებას, ე. ი. აქ. სადაც უნგარელი 52% შეადგენენ. ფინლანდიაში შევედების რაოდენობა ძლიერ ბევრია მაგრამ ქვეყანა — მაინც ფინლანდიაა, ფინლანდიის სახელწოდებითა და არასოდეს შევდთა ქვეყანა არ იქნება. — ბევრია ასეთი ქვეყანა და ჩვენ ქვეყანას, სადაც 70,5% ქართველობაა, ამ მხრით სრული უფლება აქვს ტერიტორიალური დამოუკიდებლობისა. აქ მას ვერც სომეხი შეედავება და ვერც თათარი, მას ექიშება მხოლოდ მოუხეშავი ძალა, რომელსაც არც სამართალი სწამს და არც უფლება.

(დასასრული იქნება)

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ამ ჩემს სტატიას ადგილი დაუთმოთ თქვენს ჟურნალში. იგი მე გავაგზავნე დასაბეჭდად „დროებაში“ ცხრა ნომბერსა. დილით, მეორე დღეს, ათს ნომბერს, თორმეტ საათზე შევიარე რედაქციაში კორექტურის გასაწორებლად. ნახევარი ჩემი სტატიისა აკრეფილი და გასწორებლად აღბეჭდილი დამხვდა. გავასწორე კორექტურა, ჩავაბარე და

წამოვედი შინ. სრული იმედი მქონდა, რომ მეორე დღის ნომერში ჩემს სტატიას დაბეჭდილს წავიკითხავდი. მაგრამ მოვსტყუედი: გაზეთში ჩემი სტატია არ აღმოჩნდა, და რედაქციისაგანაც მალე მომივიდა წერილი: თქვენი სტატია ნომერიდან ამოვიღეთ, რადგანაც მეორედ გადაკითხვის შემდეგ იმ აზრზე დავდგით, რომ მისი დაბეჭდა შეუძლებელიაო. როცა პირადად ვინახულე რედაქტორი „დროებისა“ და ვკითხე, რად შეიცვალეთ აზრი მეთქი, მიპასუხა: გულდადებით მეორედ გადაკითხვამ დაგვარწმუნა, რომ შიგ არა ერთი რედაქციისათვის საწყენი ადგილი იპოვებაო. მე ვჯავახუბე: დაბეჭდეთ ჩემი წერილი, რაც გნებავთ სთქვით მის და ჩემ წინააღმდეგ, მე კრინტასაც აღარ დავსძრავ, მხოლოდ სამედიატორო სამართალს მოვითხოვ მეთქი. — არ შეგვიძლიანო, იყო პასუხი. საწყენი ადგილები მაინც დამისახელეთ მეთქი. დამისახელეს. ამოვედი შინ, ხელთნაწერიდან ამოვშალე ეს ვითომ საწყენი ადგილები და ხელახლად ჩავუგზავნე რედაქციას ასაკრეფად და დასაბეჭდად. ახლაც უარი მივიღე. მაშინ შევეკითხე რედაქტორს: ჩემი სტატია რომ ცალკე ფურცელზე დავეჭმო ჩემი ხარჯით, ხომ რედაქცია გაგზავნის ჰას გაზეთის ნომერთან განცხადების ფორმით და ჩემ მიერ ჯეროვანი ფასის გადახდის შემდეგ მეთქი. არც ეგ შეგვიძლიანო, გადაჭრით მითხრეს.

რად მოიქცა ასე უკადრისად და უსამართლოდ რედაქცია? ადვილი გამოსაცნობია. იგი თავის მეორე მეთაურში პირდაპირ იწვევდა ჩემს პასუხსა, მეკითხებოდა, მაგალითად, როდის იყო მაგისტრანა ხანაო საქართველოს ცხოვრებაში, ფეხს არ მოგაცვლივინებთ ამ ადგილიდანაო და სხვანი. თუ ჩემი პასუხი არ დაიბეჭდებოდა „დროებაში“, მკითხველი იფიქრებდა, ალბად გოგებაშვილი მტყუანია, რომ გაჩუმებულა, ხმას არ იღებს, გამოწვევაზე უარს ამბობს, და რედაქცია გამარჯვებული გამოვიდოდა მის თვალში. თუ ჩემი სტატია დაიბეჭდებოდა, თვით რედაქცია პირშავად, ცილის მწამებლად გამოვიდოდა; თვით რედაქცია მეთქი, ვამბობ, რადგანაც ჩემ წინააღმდეგ მოპართული ორი წერილი ხელმოწერულ მეთაურებად იყო დაბეჭდილი.

ი. გოგებაშვილი.

„პრინციპიალობა“ „დროების“ მესვეურისა.

მესვეური გაზეთის „დროებისა“ ჭეიფავს, რომ იგი ჩემ წინააღმდეგ მოპართულის ორის სტატიის შექმნაში ხელმძღვანელობდა მხოლოდ პრინციპიალური მოსაზრებით, სავნებრივი მიზნით. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს, სწორედ ამაზე ითქმის. კრიტიკის თავის წერილში სრულიად დავიწყებული აქვს სიკეთე საქმისა. იგი კენტს სიტყვასაც არ ხარჯავს მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც ისეთ უბედურს მდგომარეობაში ჩააყენა ქართული ენა მეორე გემნაზიაში. იგი ერთი სიტყვითაც არ არცხვენს იმ მშობლებს, რომელნიც მთავრობას თურმე სთხოვენ, ჩვენი შვილები ქართული ენადან გაანთავისუფლეთ, და რომელთაც ჩვენ რუსულს წერილში დაქალობის ბუკედი მივაკარით. იგი მთელს თავისს ძაღლანეს ხარჯავს მხოლოდ იმაზე, რომ როგორმე მე პირადად მკითხველი საზოგადოების თვალში დამამციროს. რამდენად დიდია ეს პირადი მუცლის ჭეკრემი, სწახს იქ-

იდგან, რომ იგი არც ერთს სათაკილო დონისძიებას არ ერიდება თავისი „კეთილი“ განზრახვის მისსწევად. და ამას იგი პრინციპიალობას ეძახის. მომისმინეთ ბოლომდინ და მთლად დატკბებით მისი პრინციპიალობით.

მესვეური ასე სხნის ჩემი რუსულის წერილის მკვლევანსა... „ი. გოგებაშვილს დიდი სამსახური აქვს სამშობლოს წინაშე და იგი სრულიად არ სავნებოდა თავისი სახელის გასადიდებლად უღმობელ ქსლის მსხვერპლად მომხდარიყო“. თურმე ნუ იტყვით, რუსული სტატიის დამწერია არა საქმის სიკეთისათვის, არამედ ჩემი სახელის გასადიდებლად. პრინციპიალური გამოცანაც ასეთი უნდა! ნამდვილად კი საქმე ასე იყო. გამოცხადდა თუ არა გაზეთში ის უკუდმართი ცვლილება ქართულის ენის სწავლებაში, რომელიც მოქმედისათ მეორე გემნაზიაში, მასწავლებლებმა ჩვენზე მოაშვირეს ხელი. მოხვდნენ არა მარტო ქართველები, არამედ ამათთან ერთად ზოგი სომეხიც, რადგანაც სომეხი ენაც იმავე ტაფაში მოქცეათ. მშობლებიც ბანს აძლევენ მასწავლებლებსა. სხვათა შორის დოქტორი მიხეილ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი თხოულობდა უსათუოდ ხმა ამემდლებინა ამ უსამართლობისა და უკუდმართობის წინააღმდეგ. მე უარზე ვიდგე და ვეუბნებოდი: უკეთესი იქნება რომელმამე ახალმა პირმა აღიმადლოს ხმა, რადგანაც ჩემი ოპოზიციონერი აზრი ამ საქმის შესახებ მთავრობაში დიდი ხანია იცის, და ამიტომ ნაკლებს შთაბეჭდილებას მოახდენს მასზე, ვიდრე წერილი ახალი პირისა მეთქი. გავიდა თვე ნახევარი და კრინტი არავინ დასძრა, არც კერძო პირმა და არც პერიოდულმა პრესამ. როცა ვისმეს ვკითხავდი, რატომ ხმას არავინ იღებს მეთქი, მეუბნებოდნენ, რისხვას ერიდებიან, შენგან მოვლან ჯეროვან სიტყვასაო. მე მაინც არ მიხდოდა სტატია დამწერათ მით უმეტეს, რომ ბოროტად ჩამოსვლის შემდეგ უქვიფობა დამჩემდა. ბოლოს იღია ივანეს ძემ წინამძღვარიშვილმა მითხრა: უშველე რამე ქართულს ენასა, თორემ, როგორც მასწავლებლები ამბობენ, შეექვსე გაკვეთილზე ადარავინ რჩება ორიოდ ბავშვის გარდა, და ქართული ენა ღამის სრულიად გაქრეს მეორე გემნაზიაშიო, და ეს სენი მეტე უკვლავ საშუალო სასწავლებელს მოეძებაო. მეტი დონე არ იყო, უნდა დამეწერა სტატია.

სტატია უნდა დამეწერიო ისე, რომ არც გაზეთის ვნებოდა რამე, არც წინააღმდეგი უფიცილო ჩემი შეხედულობისა, და მიზანსაც მისწოდა. ხოლო მიზანს მაშინ მიახწევდა, თუ დაუკრძკვდი იმ საბუთს, რომლის ძალით ღამობენ ქართულის ენის გაუქმებასა. „ქართული ენა წყაროა სუპერსტიციისა და რევოლუციისაო, მანებელი ფაქტორია სახელმწიფოსათვის, და უნდა მოისპოსო“, ასე ფიქრობენ მემარჯვებენი და მათთან ერთად მთავრობა. მე შევეცადე დამეპტივებინა მთავრობისათვის, რომ ნაციონალიზმი სრულიად არ არის წყარო სუპერსტიციისა და რევოლუციისა, პირიქით თვით მთავრობა დედა-ენის და ნაციონალიზმის დევნით ქმნის მოზარდ თაობაში ინტერნაციონალიზმს და რევოლუციონიზმს, და დასამტკიცებლად ჩემის აზრისა მოვიყვან-

ნე ევროპული მწერალთაგან ტისანდიეს აზრი და რუსთა მწვერულთაგან ფადდევის ციტატა.

როცა ერთს „დროების“ მუდმივ თანამშრომელს ვკითხვ: გულწრფელად მითხარით სხვა გვარად რომ წერილი დამეწერა, გამოვიდოდა. რამე შეთქი, თუ არა? არაფერი გამოვიდოდა ახლა შეთქი? ახლა კი იქნება, საქმე როგორმე გამოკეთდეს. რამდენიმე ქართულმა მსწავლეებელმა და სომეხმა ესევე მითხრა, და მადლობაც გადაიხადეს.

მესვეური თანამშრომელს მწამებს, თითქმის მე რუსულს ენაზე ერთი შეთქვას, ქართულზე სხვა. რად იმეორებს თავს იმ მკითხველების თვალში, რომელსაც რუსული ჩემი სტატიაც წაუკითხავთ და ქართულიც? იქნება იმ წამკითხველების იმედი აქვს, რომელთაც რუსული წერილი არ უნახავთ? მაგრამ ამათაც კარგად იცანს, რომ მე თანამშრომელს სრულიად მისწავლილი ვარ, უკიდურესი ზინიანობის თითქმის ნაკლებად ვაქვს გადაჭრული, და რასაც ქართულად ვწერ, იმისვე ვამბობ რუსულადაც. მართალია, ქართულად მოკლედ მოვიყვანეთ ცენტრალური, მთავარი ადგილი ჩემის რუსულის წერილისა; მაგრამ ეს სხვადასხვაობას არ ნიშნავს. მართალია ისიც, რომ ქართულს ენაზე ვთქვი, მე არც წინა დროთაგან რეფორმული და არც ახლა ვარ შეთქი, ხოლო რუსულზე ეს არ მითქვამს, თუმცა ჩემს ადგილას მესვეური შესაძლებელია უკლებლად მოქცეულიყო. მართალია ისიც, რომ მე რუსულს წერილში ვთქვი: როცა მთავრობა ქართულს ენას და ქართულს ნაციონალიზმის ფართო გზას აძლევდა, მაშინ იზრდებოდნენ წმინდა, მშვიდობიანი ბრძოლისიტები შეთქი, და ეს არ გავიმეორე ქართულს ენაზე, რადგანაც სრულიად საჭირო არ იყო საქმისათვის. ჩემი მოწინააღმდეგე ჩასწავლია იმ ადგილს და დაჟინებით შეკითხება: როდის იყო ეს ხანა? სავსებით ამისთანა ხანა არს დროს არ ეფიქრა მთელის უკანასკნელის საუკუნის განმავლობაში. მეტ-ნაკლებობით კი მას ადგილი ჰქონდა ერთ ხანაში. ეს იყო ვორცხვის და დიდი მთავრის მიხედვით ნიკოლოზის ძის დროს, როცა ქართულს თეატრს, ქართულს მწერლობას და ქართულს ნაციონალიზმს მეტ-ნაკლებობით მთავრობა მოეფრული თვალთ უყურებდა, როცა ქართული ენა ევლას სსწავლებლებში სავალდებულო, საშტატო საგანი იყო, როცა მთელს კავკასიის ჯარს უმეტესად ქართველები წინამძღვრობდნენ, როცა ამიერ კავკასიის ნახევარი ადმინისტრაციის ჩვენების ხელში იყო, როცა გუბერნატორებმა უმთავრესად ქართველები იყვნენ, როცა თვით ნამესტრიკის თანამშრომლის თანამდებობა ქართველს ეჭირა, როცა ბატონ უმობა საქართველოში იხმობდა, როცა ქართული მიწა-წყალი ქართველების ხელში იყო და როცა მამულს ეზრდებოდნენ დიდებულნი მგოსანნი, რომელთაც შემდეგ უკვდავ ჰქმნეს ჩვენი ლიტერატურა მრავალი მადალ-ნიჭიერი ქმნილებითა.

გადმინჯვით იმ დროის კავკასიის კალენდრები და თქვენ დარწმუნდებით, რომ რუსების შემდეგ უზირველისი ადგილი ქართველებს ეჭირათ.

ესლა ვიკითხოთ: ვორცხვის და დიდი მთავრის მიმართულება რომ გავრცელებულიყო და გაძლიერებულიყო და ზემოდ მიხსენებულს ფაქტურს უფლებებს ზედ დამატებოდა ახალი სიკეთე, ბატონ-უმობა სრულიად მის-ზობილიყო, „სხანდელი“ მინცვე ჩვენი გლეხების ხელში გადასულიყო, ერთბაშე შემოდებულიყო, ხალხის განათლებას დედა-ენაზე ფართო გზა გახსნოდა, ერთი სიტუვით ყოველი რეფორმა, რუსეთში შემოდებული, მინიჭებოდა საქართველოსაც, განა ჩვენში რეფორმები მკვიდრს და ფართო ნადავს მოიხვევდა?

სამწუხაროდ, შემდეგმა მთავრობამ არამც თუ ახალი სიკეთე არ მოგვანიჭა, წინანდელიც ევლასფერი ჩამოგვართვა. ბატონ-უმობა ფაქტურად დასტოვა, და დემოდის სწავლი გლეხი მეთხედს მისხვლისას დადად იხდის, ქართული ენა გააუქმა უფროსს კლასებში და უმცროსებში თითო-ორლას გავკეთილი დასტოვა, გაკვეთილების ბოლოს გადაიტანა, შტატადან გამოიცილა და ყოვლად უბედურ მდგომარეობაში ჩააყენა, ქართულს ზრისსაც მუხრუჭები მოუჭირა, ქართველებს სემისურიდან რეკვა დუწყო, ქართული გვარების დაბოლოება დაბოლოებად აღიარა სემისურში მიღებისათვის, და სხვანი და სხვანი. ერთი სიტუვით, უზირველისი ადგილიდან ქართველები უკანასკნელს ადგილზე ჩამოიყვანა. გადაშინჯვით უკანასკნელი ხნის კალენდრები და თქვენ ამში დარწმუნდებით სავსებით... ასეთს შევიწროებას და დევნას ქართველებისს არ შეეძლო არ დაეხდნა მათ შორის დიდი სეფოვითა უკვირობილება, რომელმაც ხელი შეუწყო სარეფორმული ატმოსფეროსს. ერთი სიტუვით, ჩვენში სარეფორმული მოძრაობა დაბადა არა ნაციონალიზმს, არამედ ანტინაციონალიზმს და ამხვე მისცა მას ინტერნაციონალური ხასიათი და მიმართულება.

ამას ჩემს სტატიაში ვუბნებთ მთავრობას, და იგი მიხეზად გამომეფის იმისი, რის დამნაშავედ იგი სოფლის ხალხს და მის შვილებს და სჯის მათ:

განა ამ გვარი წერილით ვისმეს მოუხვევია კეთილი საიმედო ზსზმორტი? თქვენ კი ამ გვარი ინსინუაცია გაგვავთ თქვენს მეთურში. მე მთავრობისგან არც წინა დროებამ რასმეს და მით უმეტეს არც ესლა ვიკებ, როდესაც სამოც და ათმა წელმა საიქოსკენ მიქნევიან ზირი. ამიტომ არავითარი ზსზმორტი მთავრობის ჩემთვის საჭირო არც იყო და არც არის. ზსზმორტზე რომ მეზრუნვა, სისტემატიურს თმობიცაზე ხელს ავიდებდი. მართალია, ჩემი სხელმძღვანელები, ევლას სხვა სხელმძღვანელებთან ერთად, საჭიროებენ ზსზმორტში, ნების დართვაში; მაგრამ ეს ნების დართვა კაი ხანია მინიჭებული აქვთ „დედა-ენას“ და „ბუნების კაცს“ იმისთანა წმინდა და კომპეტენტურ დაწესებულებისგან, როგორც არის აღმოსავლეთის ფაქულტეტი ზეტერბურგის უნივერსიტეტის. რაც შეეხება ჩემს „Русское Слово-ს“, მე მას გზა გავუგვლი, ზსზმორტი ვუშოვნე არაკეთილ საიმედო დოჭინით, არამედ სრულიად სხვა დონისძობით. როცა ზირველს გამოცემას ამ წიგნისს ადგილობრივმა სამსწავლო მთავრობამ გზა შეუკრა, თა-

სახმად ბნის ზეგადსკის მახსენებისა, მოგითხოვე მოცუთ ჩემთვის ამ მახსენების ზირი სავსებით. უკლებლივ მომტყს. ჰვიდე და გავარჩიე მახსენების ყველა მუხლი და ისე საფუძვლიანად დავარდვი, რომ მზრუნველმა იანფსკიმ, წავითხვის შემდეგ, მითხრა: თქვენ ბევრში მართალი ხართ, ჩვენი მამხსენებელი სსსტკად მახსენებია წიგნსა; მაგრამ ახლა ოფიციალურად ჩვენს დადგენილებას, ნამესტნიკის მიერ დამტკიცებულს, უკან ვერ წავიღებთ. სამაგიეროთ, კერძოდ, ზირად ვუჩვენებთ დირექტორებს და ინსპექტორებს, რომ თქვენი წიგნის ხმარებას სსსტკ სკოლებში მასწავლებლებს ნუ დაუშლიან; მეორე გამცემისში ცოტადენი ცვლილება მახსენებთ და მაშინ ოფიციალურადაც მოვიწინებთ. ზირველი გამცემი, დაბეჭდილი რიცხვით თერთმეტი. ათასი, ერთს წელიწადს მოეფინა სკოლებში, და მეორე წელიწადს დაბეჭდა ახალი გამცემი, რომელიც თანახმად აღთქმისა, დაუყენებლივ იქნა მოწინებელი.

ყველა სხვა შემთხვევაშიაც ჩემს უფლებას ვიცავდი არა ჩვეულებრივი ვედრებით და დიქინით, არამედ საბუთებით და სამართლიანობით. რამდენად ძლიერი იყო ეს საბუთიანობა და სამართლიანობა, სჩანს იქიდან, რომ მაშინდელი ჯიუტი და თავმოყვარე სამსწავლო მთავრობა გუნებდებოდა, თავისი გადაწყვეტილება უკანვე მიჰქონდა.

დად, თუ მართლად დიდი სახელი მქვს, როგორც თქვენ ამას ამბობთ, იგი მომინებებია არა ორგულობით და ორჭოფობით, არამედ ცოდნით, შრომით, ეროვნულის იდეალის ერთგულობით, გულწრფელობით და უანგარობით. თუ უკანასკნელი სიტყვის შესახებ ვისმე ეჭვი შეეპარება, ვთხოვ მოგიჩინოს, რომ მთელის ორმცის წლის განმავლობაში მე მონაწილეობას ვიღებდი, თითქმის გამუდმებით, ჩვენს ლიტერატურაში და კაპეიციც არ ამიღია შრომის ფასად მაშინაც კი, როცა ჯერ ჩემი ქართული სახელმძღვანელოები გავრცელებული არ იყო, და გაჭირებას ვითმენდი. თვითონ ეს სახელმძღვანელოებიც ერთი ორად და სამად უფრო იყოფიდა და იუილება, ვიდრე სხვა ერების სახელმძღვანელონი. გარდა ამისა, მათი შემოსავალი მთლად ხმარდებოდა სტიპენდიების და საზოგადო საქმეებს. მე ზირად ვსცნობობდი და ვსცნობობ ჩემი „Русское Слово-ს“ შემოსავლითა.

ხლო რას ვიცავდი და როგორ ვიცავდი ჩემის ორმცის წლის სალიტერატურო მოღვაწეობაში, ეს კარგად იციან მოსწრებულმა მკითხველებმა. ვიცავდი უმთავრესად: თვითმართველობას, ავტონომიას, ხალხის განათლებას დედა-ენაზე, ქართული ეკლესიის განთავისუფლებას, აწუ ავტოკეფალიას, ქართულის ტერიტორიის გადსვლას ქართულის გლეხების ხელში, და სხვ. ყველა ამას ვიცავდი ორსავე ენაზე, როგორც ქართულზე, ისე რუსულზე ერთნაირი გუბდულობით, ერთნაირი მიმართულებით და შინაარსით. და ვერც ერთი ცილის მწამებელი ვერ მონახავს ჩემს ძველსა და ახლს ნაწილებში თუნდა მცირე ოდენს ორჭოფობას, ორგულობას.

მე გამოვედი საზოგადო საზარეზზე შემუშავებული პროგრამით, დრმად მოფიქრებული რწმენით და ამ რწმენისათვის მე იოტის ოდენადაც არ მიღალატია არც ერთხელ არას დროსა. მე არას დროს არ დამვიწყებია, თუ რისი შემძლოა ჩვენი ზატარა ერი. „მაქსიმუმი შესაძლებელისა“, ასეთი იყო ჩემი დევიზი, და არას დროს შეუძლებელზე ჩვენს ერს არ ვაქეზებდი, რადგანც ცაში წერკების დევნა საუკეთესო დონისშიება, რომ ყველა შინაური ფრინველიც კი ხელიდან გამოეცალხს სალხსა და თვითონაც სიკვდილის გზას დაადგეს.

მე ამას არც საკვენურად ვამბობ და არც მარტო ჩემ სასარგებლოდ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ საზოგადოება მაგალითებით სცნობობს. იგი ჭბობავს კარგს მაგალითისადა და ცუდსაც, სამწუხროდ უფრო უკანასკნელსა, ვიდრე ზირველსა. ამიტომ თუ რომელსა-მე მოღვაწეს საზოგადოება სამართლიანად სთვლის კეთილის მაგალითის მიმცემად, და ამ მოღვაწეს რომელიმე „კეთილის მეოფელი“ ჩირქსა სცხებს სიღრუით, იგი მოღვაწე მოვალეა ცრუს სიღრუის კარამდინ სდიოს, მისი ზირზობა ნათლად დაახახოს ყველასა და ამით საზოგადოებას უთხრას: ჩემი მაგალითით არავის არ შეუძლიან იმატოს ორგულობა, ცუდი და მანე საქციელი.

უკადურესი წუურველი ჩემის დამცირებისა აბეღვიანებს შესუურსა სთქვას ზატალო სიღრუე, ხალასი ტუე-ილი. დასამტკიცებლად იმისა, რომ მე მთავრობას ერთს ვეუბნები რუსულს ენაზე და ქართულს საზოგადოებას დედა-ენაზე სხვასა, იგი ამბობს: ქართულს ენაზე გაკებაშვილი თხოულობს, ქართულის ენის გარდა, ქართულის ლიტერატურის, ქართულის გეოგრაფიის და ქართულის ისტორიის საგადდებულ სწავლებასა, რუსულს ენაზე კი ჭაჭანებაც არ არის არც ჩვენი ლიტერატურისა, არც ჩვენი გეოგრაფიისა და არც ჩვენი ისტორიისა; და ამას როგორ გაბეღვად იმ წერილში, რომელსაც ზეზენიტლის საურადდებოდ სწერდა. როცა შესუური ამ სტრატეხებს სთხუზავდა, მას წინ ედო ჩემი რუსული წერილი და იქიდან მოჭვავდა ვეებერთელა ციტატა. ამ ციტატას კი მოსდევს ჩემს რუსულს წერილში აი როგორი კატეგორიული მოთხრობილება: „Необходимо грузинскому языку дать подобающее место среди штатных предметов, назначить для него достаточное число уроков, сделать его обязательным для всех учащихся грузин и дать им возможность хорошо ознакомиться с родным языком, с родною литературою, а также с Географією и Исторією родины“.

დეე, თვითონ მკითხველმა დაარქვას მთელს ამ საქციელს „დროებისა“ სახელი, რომლისაც იგი დირსია.

იაკობ გოგებაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი სვ. ყიფიანი.